



ეწყმესი

№ 11-12

№ 11-12

1883 - 1906 წ.

30 ივნისი.

რა პირობებში უხდება იმპერიის ეკლესიას თვის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვნა?

(გაგრძელება*)

თავის-თავად ცხადია რამდენად უწყობს ხელს ასეთი ვითარება ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენას. ხოლო თვით ხალხი, რომელიც შეადგენს უმთავრეს ზღუდეს ამ საკითხის სასურველად გადაწყვეტის საქმეში, — ქართველი მართლმადიდებელი ერი, გაბატონებულ რეაქციისაგან განადგურებულ-გადაბნეული; სისხლიდგან დაცლილი, ჯერ სდუმს, მას ჯერ არ უთქვამს ამ საკითხის შესახებ თავისი ავტორიტეტული სიტყვა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მოძრაობის დროს შივა და შივ მის მიერ წარმოთქმულ ზოგიერთ საგულისხმეირო აზრებს თავის ეკლესიის შესახებაც.**)

ჩვენი ერი ერთსულოვანად შეუერთდა განმანათლებელ მოძრაობას, ამ მოძრაობის ქეჩა-ქუხილში ისიც მდებარე და ხმა-მადლდა ითხოვს ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა რკინის უღლის გადადგმას, ითხოვს ძმობა-ერთობას და თავისუფლებას, ითხოვს ყოველივე მას, რასაც თხოულობს რუსეთის საუკეთესო შვილები და, ვფიქრობთ, შორს არ არის ის დრო, როდესაც, ჩვენი სახელმწიფოს ეროს დაღადისი ნებისთი თუ უნებლიედ უნდა შეისმინოს გაბატონებულმა ბიუროკრატია...

მაშ, ჯერ არ სცალია ქართველ ერს თავის ეკლესიას ჯეროვანი პატრონობა გაუწიოს. მან იცის, რომ ქართველ სამღვდლოების მაცადინობით საკითხი დასმულია ამის შესახებ. ამ საკითხს დარაჯალ უღდენს ჩვენი მღვდელ-მთავრები. იცის ქართველმა ერმა ეს, მაგრამ მისაც ვაიგებდა, თუ როგორ თანაგრძობას უწევს ამ საკითხს ქართველი პროგრესული პრესა. ასეთ თანაგრძობის გამო-სარკვევად საკმარისად უნდა ჩათვალოს „ივერია“, — „შრომა“-ში დაბეჭდილი სტატიები თუ შებეჭდულნი ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის შესახებ. ფრიად საგულისხმეიროა ხსენებულ ორგანოთა შებეჭდულებანი ამ საკითხის შესახებ და ჩვენც ვეცდებით შეძლებისა და გვარად დავფასოთ ეს შებეჭდულებანი.

აწ ყოველ კვირულ „ივერიის“ მეოთხე ნომერში დასტამბულია მოწინავე წერილი თვით რედაქტორის ბ. ფ. გოგიჩაიშვილისა შემდეგი სათაურით: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“. ხსენებულ წერილის წაკითხვის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად ცნობის მოყვარე მკითხველი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი სამშობლოს ავ-კარგს, იფიქრებს: „ივერიის“ რედაქტორი აი ეს არის

*) იხ. „მწეგმისი“ № 10 1906 წ.

**) ამ ბოლო დროს გამოირკვა ის ფრიად საგულისხმეირო გარემოება, რომ ქართველმა ერმა, რომელიც თითქმის ერთიანად სოციალ-დემოკრატიის აუდიტორიას შეადგენდა, თავი დაახწია ამ პარტიის უტოაიურ (?) მოღვაწეობის შეკონტინებას და მხარი მისცა ფედერალისტ-ავტონომისტებს; აქედან თავის-თავად ცხადია, რომ იმ ერის უმეტესი ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვს, მოითხოვს, რასაკვირვებლი; ავტოკეფალურ ეკლესიასაც, რაზედაც მას აქვს უფლება ისტორიული, იურიდიული, საწმუწუნოებრივი, ეროვნული, ზეციური, ქვეყნიური და ყოველგვარი. ხოლო რაც შეეხება ამას წინეთ იურიდიულ საზოგადოებაში ბ. გვაზავასაგან წარმოთქმულ აზრს, რომ „ქართველმა ხალხმა გვერდი აუხვია ეკლესიასო“, ეს ჩვენ მიგვაჩნია თავის ადგილზე ზეპირად წარმოთქმულ „ლამაზ-რიხნის სიტყვებად“; ხალხს თუ გინდ სურბილი ეკლესიის სახელმწიფოთაგან განცალკევებისა, თავის-თავად არ ნიშნავს მის ეკლესიისათვის „გვერდის ახვევას“.

ავტ.

«მწეგმისი»
მრავალ ძალის ეკლ. კრებულს.



ახლა დაბრუნებულია საზღვარ-გარეთიდან, გადაუ-
თვლიერებია ადგილობრივი გაზეთები და დარწმუნ-
ებულია, რომ „დღეს აღარ არის დარჩენილი არც
ერთი კუთხე საქართველოსი, რომლის სამღვდე-
ლოება ავტოკეფალიის მოთხოვნას არ მიკედლებ-
ოდეს და სინოდის ოპეისაგან განთავისუფლება არ
მიეთხოვოს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფა-
ლიის მოთხოვნა საზოგადო სურვილი და მისწრაფ-
ებაა ჩვენებურ სამღვდელოებისა და გვერდისა
ქართველობის თვალსაჩინო ნაწილისაც. . . როგორ
უნდა უყურებდეთ ჩვენ, კლერიკალების მტერნი,
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს,
რომელიც დღეს წამოყენებულია? საქართველოს
ეკლესიის განშორება რუსეთის სინოდისაგან არსე-
ბითად პროგრესული მოვლენაა თუ არა და შეიძ-
ლება თუ არა მხარი დაუჭიროს მას დემოკრატიაში?“

შემდეგ ავტორს მოჰყავს დემოკრატული პრინცი-
პები რწმენისა და სინოდის თავისუფლების
შესახებ. ეს პრინციპები ყველანი თავს იყრიან ერთ
უმთავრეს პრინციპში: „ეკლესიის განცალკევება
სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან“.
ხოლო „სკოლის განცალკევებას ეკლესიისაგან“
ავტორი ამყარებს შემდეგ მოსაზრებაზე: „ახალი
თაობა პატარაობაში, როცა გონება ჯერ კიდევ
განუვითარებულია და ადამიანს თავისუფლად რწმენ-
ის შეთვისება არ შეუძლია, იძულებული არაა
შთანიერგოს გულში ამა თუ იმ სარწმუნოების
პრინციპები, ვინაიდან დაბალ სასწავლებლებიდან
გამოდენილია საეკლესიო სწავლება და სკოლა
განთავისუფლებულია ეკლესიის გავლენისაგან.
ეს არის ეკლესიის შესახებ მთავარი პრინციპები
დემოკრატისა, რომელსაც ჩვენც ვეზირობით—“,
დასძინს ავტორი. შემდეგ ის კვლავ კითხულობს: „
რამდენად ახორციელებს ამ პრინციპებს საქართვე-
ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა?—რასაე-
ვირველია, —განაგრძობს ავტორი, —ეს იმაზე
დამოკიდებული, თუ რა კონკრეტული შინაარსი
უდევს თვით ავტოკეფალიის მოთხოვნას“, გარდა
იქისა, რომ ჩვენ ვესწრავით „განშორებას და
განთავისუფლებას რუსეთის სინოდის ოპეისაგან“
ესეთი მისწრაფება არ კმარა „თავისუფლო ეკლესიის
არსებობის დემოკრატულ პრინციპებთან საესეებით
შესათანხმებლად. მთავარი საკითხი აქ ის არის, თუ
რა დამოკიდებულება აქვს ეკლესიას სახელმწი-

ფოსაგან. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვექონია შემთხვევა
გავეცნო ამ მხრით ავტოკეფალიის პროექტი და
ამიტომ დანამდვილებით არ ვიცით, თუ რა ზრისაა
ამის შესახებ სამღვდელოება“. — ვინაიდან ავტორს,
როგორც ვხედავთ, „არ ჰქონია შემთხვევა“ დეკემ-
ბერში სამღვდელოების მიერ შედგენილ პროექტის
გაცნობისა, ის იძულებულია ივარაუდოს თვით მთ-
მიერ მოსაზრებულ სამ გზაში, რომელი უნდა
ჰქონდეს არჩეული სამღვდელოებს.

ჩვენც მონაწილე ვართ ავტორის მწუხარებაში,
რომ მას „შემთხვევა“ არ მისცემია გასცნობოდა
ქართველ სამღვდელოების პროექტს, რომელიც ჩვენ
სასულიერო ორგანოებში დაიბეჭდა ქართულად და
რუსულადაც; რომელსაც ვაიწნო თითქმის მივღმა
რუსეთში; რომელსაც „დანოსი“ კი გამოიწვია
უსახელო ქართველ სოფლის მღვდლისაგან სინოდის
ორგანოში. ავტორისაგან პროექტის გაუცნობლობა
მით უფრო სამწუხაროა, რომ ის დარწმუნებულია,
რომ „დღეს აღარ არის დარჩენილი არც ერთი
კუთხე საქართველოსი, რომლის სამღვდელოება
ავტოკეფალიის მოთხოვნას არ მიკედლებოდეს“
რომ „ასეთი მოთხოვნა საზოგადო მისწრაფება
ჩვენებურ სამღვდელოებისა და ქართველობის თვალ-
საჩინო ნაწილისაც და ეს მოთხოვნა იმდენად საერო
თუ და ენერგიული ხასიათის შეიქმნა, რომ სინოდ-
მაც ვეღარ წაიყრება; რომ რელიგიური რწმენა და
მისი სარწმუნოებრივი ორგანიზაცია ისეთი დიდ
მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომ
ათვისტურ პრესისთვისაც საყურადღებოა“...

ეს თუ ყველაფერი აგრეა, მაშ რა მოგივიდათ
და ერთი ათი-თხუთმეტი წამი ვერ შესწირეთ ქართ-
ველ სამღვდელოების პროექტის წაკითხვას, რომელ-
ლიც, ყოველ მუქს გარეშე არის და ჩვენც დარწ-
მუნებული ვართ ვართ, რომ წაკითხულიც გქონდათ
ის, როდესაც ამ წერილს სწერდით?!— მაგრამ... —
გვესმის თქვენი მდგომარეობაც... ჩვენი ინტელი-
გენცია და პროგრესული პრესა სხვათაგან ვარ-
ილაპარაკებენ ეკლესიაზე და საზოგადოთ სარწმუნ-
ოებრივ საკითხებზე, თუ არ „ცალი-ყბით“, ან
დიდ ბუნებოვან მფარველობის კილოთი; თუმცა
მათთვის ხშირად ესეც სახიფათოა, ვინაიდან მოწი-
ნააღმღვდე ბანაკის პუბლიცისტი მისივე მოგნათლოთ,
როგორც ეს თქვენც მოგივიდათ, — „ავტოკეფალი-
ტად“, „კლერიკალად“, „რეაქციონერად“ და ვინ



იცის კიდევ რად!—ხედავთ, ბატონებო, ჩვენ ამას, ჩვენ, —სამღვდელთა და ხალხი და ერთი გვიბრძანეო—რა ფასი უნდა ჰქონდეს ჩვენს თვალში ასეთ მხარის დაქვრას და თანაგრძობობას? მოიგონეთ, ბატონო, ერთი არაკი—თუ ერთმა მასპინძალმა ბიჭის პირით როგორ დაჰპატივა სტუმარი, ისეთი სტუმარი, რომელიც მინცა და მინც არ ესამოგნებოდა თვის ოჯახში, ცოტა არ იყოს მისი ვრედებოდა-კი, —წაიღე, ბიჭო და ცალი ყბით დამიპატიეო, —უბრძანა მასპინძელმა თავის ხეპრე მოსამსახურეს; ესეც წაიღა და ისე მოინჯია გვერდზე ყბა, რომ რომ სტუმრის განცვიფრებას სასწავრი არა ჰქონდა და, როდესაც გაიგო მიზეზი ასეთი მანქისა, აღარ ეწვია ცალი ყბით მოპატიე მასპინძელს. როგორც ხედავთ, ბატონებო, ცალი ყბით დაპატიებას გასავალი არ აქვს და, თუ სიკეთეს შობით, ბარ მორივე ყბით დაგვაპატიეთ, ორივე ხელები მოგვაწოდეთ, მთელი არსებით და გულწრფელად შემოგვიერთდით ისეთ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენის მოწესრიგებაში, როგორადც სთვლით თქვენ „რელიგიურ რწმენის და მის სარწმუნოებრივ ორგანიზაციის საქმეს! მით უმეტეს მოსალოდნელი იყო თქვენგან ასეთი თანაგრძობა, რომ ზარბაზნების გრილის დროს შედგენილი ჩვენი პროექტი, როგორც თქვენ მოგცხენებთ, — „დემოკრატიის მთავარ პრინციპებს“, იმ სახით, რა სახითაც ისინი თქვენც გაქვთ გაყვანილი თითქმის საესებით ეთანხმება (იხ. § 4. პროექტისა II. B. 1906 წ. № 3, გვ. 12). პროექტებში არ არის ნახსენები ეკლესიისა და სკოლის ერთმანეთთან დამოკიდებულება, თუმცა პროექტის მეორე პარაგრაფში ვკითხულობთ შემდეგ ამ მხრივ საულისხმიერო შენიშვნას: „როგორც ეკლესიის წევრად გახლობა, ისე მასში დარჩენა, ანუ ვასელა დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინდისსა და სურვილზე, ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვის შეეხება, იმათი ეკლესიის წევრად დატოვება თუ იქიდან გაყვანა მათი მშობლებისა და მზრუნველების სინდისის საქმეა“. ამ შენიშვნის ძალით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თუ სამღვდელთაგან მოეხდინა მსჯელობა სკოლისა და ეკლესიის დამოკიდებულებაზე, დაადგენდა საეკლესიო უწყებების სკოლათა გაუქმებას (გარდა სპეციალურ საღვთისმეტყველო კურსებისა), ერთგვარ საზოგადო ტიპის სკოლების დაარსებას, მათში მთარ-

წმუნთა შეიღობათვის სამღვთო სჯულის სწავლებით. ჩვენ ვერ ვეთანხმებით იმ „დემოკრატიულ პრინციპს“, —ვითომც —ახალთაბა პატარაობაში, როცა გონება ჯერ განუვითარებელია და ადამიანს თავისუფლად რწმენის შეთვისება არ შეუძლია, იძულებული არაა შთანთქმოს გულში ამა თუ იმ სარწმუნოების პრინციპები, ვინაიდან დაბალ სასწავლებლებში ღვან გამოდევნილია საეკლესიო სწავლება (მხეცი ხო არ არის!?) და სკოლა განთავისუფლებულია ეკლესიის გავლენისაგან. —ზემოთაღვკვეთნა ნათქვამი, რომ ადამიანში სარწმუნოებრივი გრძობა ჩვენ მიგვიჩნია ბუნებრივად, ორგანიზულად, თან დაყოლილად. ეს გრძობა, როგორც სხვები, პატარა ბავშვებში არის ინსტიქტიურად, ხოლო როდესაც ბავშვებს ცნობიერება მოდის ხოლმე „შთაბეჭდილებებს ღებულობენ ბუნებისაგან თუ სხვა და სხვა გარეშე მისსა საგნებისაგან, ის თავდაუქუერულ ცნობის მოყვარეობით ჰკითხულობენ ხოლმე, —თუ ეს რა არის, ის რისთვის არის საქორი, ის ვინ გააკეთა, ეს ვარსკვლავებით მოქცილდა და მთავარე-შით გაბრწყინებული ცა ვიდან გააკეთა?... საინტერესოა, —როგორ ჰასუსხ მისცემთ თქვენს პრინციპებით ასეთ ცნობის მოყვარე გონიერ არსებას?—ამთაც ხომ ფრანგულ „მორალს“ არ წაუკითხავთ, ან სხვა და სხვა მეცნიერულ ჰიპოტეზებზე არ დაუწყებთ მღაბიო ბაასს?! ჩვენი აზრით, ბუნებრივი პასუხი ასეთ კითხვებისა უსათუოდ ისეთი უნდა იყოს და არის კიდევ, რა სირწმუნოების მიმდევარნია ბავშვების დედ-მამა, მთელი ოჯახი, მათი მსოფლიო მხედველობით. ხოლო ურწმუნო, ათვისტური ოჯახი, ჩვენ არ გვეგულება დედამიწის ზურგზე. ამგვარად საძირკველი სარწმუნოებრივ ცნობიერებას ბავშვ ეძლევა ოჯახში. რომ ვაღვიძებულ სარწმუნოებრივად გრძობამ მიიღოს ბუნებრივი და სწორი განვითარება, საქორა—ოჯახში დაუწყებული საქმე სკოლამ განაგრძოს, საქორა სკოლამ ბავშვ მიეცეთ სარწმუნოებრივ-ზნობრივი აღზრდა, შევასწავლოთ მას გონიერულად, სისტემატიურად ქრისტეს სარწმუნოება და როდესაც ის საღ მსჯელობას შესძლებს, მაშინ შეუძლია დარჩეს ეკლესიის წევრად და შეუძლია გავდეს. სიკეთის და ზნობრივ სიუფაჩვის მეტს რას მისცემს ბავშვებს ქრისტეს სარწმუნოება?! რასაკვირველია, აწ არსებულ სამღვთო სჯულის სწავლება უსათუოდ ძირითად უნდა შეიც-



ვალოს და დადგეს იმ ნიადაგზე, რომ მისი შესწავლა სწარმოებდეს ბუნებრივად, შეგნებულად, რომ ბავშვს გონება არ დაეზოს და ეს თავის-თავად განმავითარებელ-განმაკეთილშობილებელი სამღვთო სჯული მისთვის არ გადაიქცეს მამუხარ-უშინაარხო საგნად, როგორც რებუტაკოც მიიღო მან თანამედროვე უკუღმართად მოწყობილ სკოლაში და სარწმუნოების მხრივ განვითარებულ „განათლებულ საზოგადოებაში“. ამ საკითხის შესახებ, როგორც ბევრ სხვებსაც, საქირაა თვით მორწმუნეთ, თვით ხალხმა სქვეს თავისი ავტორიტეტული სიტყვა და არა მარტო მათ, ვინც ხალხის რწმენის და უფლებების უზურპაცია—დემავაგობა დაისახეს სამოქმედო ასპარეზად. „თავისუფლება“, — ყოველგვარი თავისუფლება, ადამიანის უფუთავისუფლეს ნების გამოხატულებაა. ხოლო ამ ძვირფას განძს კაცობრიობისას ესაჭიროება შეგნება, განმარტება, პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება, თუ ვინღ იმ სახით რომ ერთი ადამიანის თავისუფლება მეორისას არ სჩაგრავდეს და შეურაცხოფდეს როგორც ეს ხდება ხოლმე ამ „თავისუფლების“ დროში. საქირაა, მამასადამე, „modus vivendi“-ს შემუშავება. მაგრამ ასეთი მუშაობისათვის ჯერ დრო არ დამდგარა. ჯერ თვით ყველასათვის სანუეყარი „თავისუფლება“ ცხრა კლიტულშია. ხოლო იმაზე კამათი, თუ როგორ მოვიხმართო ეს ჯერ დატყვევებულ „თავისუფლება“, როგორ განწყობილებაში დედგეთ ერთმანეთთან, ეს ჩვენ გვაგონებს ერთ არაკს: „დათვი ტყეში დაჯლიგინებდა, მონადირე კი იმის ტყავს აფასებდაო“. ეს არაკი ზე გამოჭრილია ჩვენი პრესის მსჯელობაზე—აღსადგენ ივერიის ეკლესიის „დემოკრატიულ პრიციპებთან“ შეთანხმების შესახებ.— არა, მამანო და მმანო! ჯერ ნადირის მოსაკლავი იარაღი მოვიკოგ-მოვიმარჯვოთ, ნადირი მოვკლათ, ტყავი გავაძროთ და შემდეგ დავაფასოთ. იქნებ ჩვენ საღედლოვებს და პრესასაც ჰკონიათ, რომ ნადირის მოკვლა უზრუნველ-ყოფილია სინოდში საკითხის დასმით და ან უბრალო ბაქი-ბუქით—ქართველი სამღვდლოვება ჯერ ჯერობით სინოდის გადაწყვეტილებას უტღისა—და ან ისეთი ტრახიხით: „ჩვენ იმედი გვაქვს ქართველი სამღვდლოვება თვის საკუთარ ძალ-ღონით შესდგებს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენასო და თუ ეს არ მოხდა, საქმე სხვა ნაირად უნდა გადაწყდესო.“ (გნ. ფურც.)

იმედიც კარგი საქონელია და ჩვენც დივირთა ის ნუ მოგვიშალოს, მხოლოდ ამ იმედს რაიმე ნიშან წყალი უნდა ეტყობოდეს, რომ ის აგვის-რულდება.., საქმის ვითარება კი დღეს ისეთია, რომ თუ შინ დროზე არ ჩაიხებდეთ ყინულზე გავცატურებენ..

საკითხი საქყნოდ დაესვით, ნაქარევედ პროექტი გამოცხვა! ეს პროექტი „დემოკრატიულ პრინციპებსაც ეთანამება იმდენად, რომ ამ საზოგადოების“ რედაქტორი სტუქსავს დემოკრატიულ რადიკალებს:—„თუ ამ მხრით შეგხედავთ საქართველოს ეკლესიის საკითხს, დავრწმუნდებით, რომ იგი თანაგრძნობის ღირსია ყველა დემოკრატიულ ელემენტებისაგან.., სანამ სარწმუნოება არ მოსზობილა (?) და ჩვენი ერის დიდ-ძალ უმარადესობის (ვითომ ?!) ღვთის ლოცვა-ვედრება თავის სულიერ მოთხოვნილებად მიანჩნია (დროებით რასაკვირველია), მის მისი რწმენის შესაფერი ეკლესია და მღვდელიც ესაჭიროება და ერთიც და მეორეც უნდა იყოს ისეთი, რომელიც მის მოთხოვნილებასთან უფრო დაახლოვებულია (ოღონდაც!) ავტოკეფალია ნიშნავს სარწმუნოების სფერაში ეროვნულ დევნის და შევიწროების მოსზობის, წაღბთან სამღვდლოვების დაახლოვებას და ეკლესიაში ანუ სარწმუნოებრივ ორგანიზაციაში ხალხის გაღვინის გაძლიერებას და ყველა ეს ისეთი მხარეებია, რომ მათ გამოუმწვევ ცვლილებას უნდა თანაუგრძნობდეს ყოველი დემოკრატი, რომელიც თავის ცხვირს იჭითაც სავანს ხედავს და თავის რელიგიურ რწმენას თუ ურწმუნოებას ყველასათვის სავალდებულოდ არ სხავს“.

ასე სტუქსავს ბ. ფ. გოგიჩაიშვილი „რადიკალიზმით“ გატაცებულ „იდეოლოგებს“, მაგრამ შექმენის გამგონე უნდაო, ნათქვამია,—ხოლო „ხმა მათი დარჩა ხმად მლაღადებელისა უდაბნოსა შინა“, — აღმოჩნდენ ასეთი პუბლიცისტები, რომელნიც „თავის ცხვირის იჭით სავანს ვერ ხედავენ და თავის რელიგიურ ურწმუნოებას ყველასათვის სავალდებულოდ სთვლიან“.

ასეთ შინაარსისა, მაგალითად, ვაზეთ „შრომის“ მე 7-დემ ნომერში დასტამბული მეთაური: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სახელმწიფოსაგან განცალკევება“. ეს წერილი გვერდელა პასუხია „ივერიის“ აღნიშნულ წერილისა. რადღე-



ნად „ივერიის“ მოწინავე „ზოგიერთი დემოკრატია“, იმდენად „შრომის“ „უზომო რადიკალია“. თუ „ივერიის“ წერილის ავტორს შემთხვევა არ მისცემია ჩვენი პროექტი წაეკითხა, თუმცა იცის კი მისი არსებობა, „შრომის“ მოწინავემ თითქოს არც კი იცის ამ პროექტის გაჩენა. მაგრამ წერილში, სხვათა შორის, ერთ გაუგებარ ადგილს ვხვდებით, რომელიც თითქოს გულისხმობს ჩვენს პროექტს და მას „განტყევათ“ უკითხავს. სანამ ამ ადგილს მოვუყვანდეთ, საჭიროდ ვსთვლით მას წაუმიძღვაროთ ავტორის მოკლე ისტორიული მიმოხილვა ჩვენი ეკლესიისა და ერის ურთიერთობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე: „რუსეთის ბიუროკრატიაში, — ამბობს ავტორი, — საქართველოს ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოსწყვიტა ეროვნულს ნიადაგს და მით თავის სურვილის წინააღმდეგ მოამზადა ნიადაგი ხალხის განთავისუფლებისა ეკლესიური მონობისაგან“. აქ უნდა შეგინშნოთ ავტორს, რომ ამ დრომდის ქართველ ერსა მის ეკლესიას შორის არამც თუ არ ყოფილა ბატონ-ყმური დამოკიდებულება, თვით „ნიადაგიც“ საარაკო მონობისა რუსებს მოუშალებია. ბართლაც, ჩვენი ეკლესია, სანამ ის თავისუფალი იქნებოდა ეროვნული იყო, შედარებით სხვა ეკლესიებთან, საუცხოვო განწყობილებაში იყო ქართველ ერთან. ჭირნი და ღზინი ერთად იყვენენ იგინი. ხშირად მღვდელიც და ერიც ერთნაირად იყენენ შებეული ბატონ-ყმურ უღელში, თუ ერთს ჰქონდა საქმელი, მეორეც მაძღარი იყო, თუ არა და ორთავეს შიოდათ აქ ჩვენ არ გვყავს სახეში კათოლიკოზები და ეპისკოპოზები, თუმცა არც ესენი „ბატონობდნენ“ ხალხზე იმ სახით რა სახითაც ამას ვხვდებით ჩვენ სხვა ერთა და ეკლესიათა ისტორიაში. მაშასადამე უნდა ვფიქრობოთ, რომ ასეთი კეთილგანწყობილება ერსა და სამღვდლოების შორის დაირღვა მას შემდეგ, რაც სამღვდლოება მისწყდა ეროვნულ ნიადაგს და რუსიფიკაციის ბრმა იარაღად გაუსდა მთავრობას ხელში. „რაც უფრო პირდაპირ და ცხადად მეცადინებოდა რუსეთის ბიუროკრატია, ქართველ ხალხის გასარუსებლად ეკლესია გაეხანდა იარაღად, მით უფრო ნათლად სწნდებოდა ხალხის თვალში წინააღმდეგობა იმის ცხოვრებისა და იმის ეკლესიის მდგომარეობის შუა“. ხოლო ეს „წინააღმდეგობა“, ავტორის სიტყვით, თან და თან ისე

გაიზარდა, რომ გამოიწვია „რევოლიუციონურ სულის ძლიერი აფეთქება“ (ნუ თუ მხოლოდ ეს იყო ამის მიზეზი?!), რომელსაც ჩვენი ერი განიცდის ეს ორი წელწაღია. ეკლესიის მსახურთ სულ ერთიან (?) დაჰკარგვს ხალხის თვალში ღვთის მსახურის ავტორიტეტი, რადგან ხალხი ამ ღვთის მსახურებას ვერასად ხედავდა, და გადაიქცენ მუქთა მკამელ ხორცმეტებად“. — ამ სტრუქტურების წაკითხვის შემდეგ აღაშინა იფიქრებს, რომ მხოლოდ ხალხი დაუწავრავს ჩვენში გამოყვებულ ბიუროკრატებს, თორემ ეკლესიის მსახურნი, თუმცა იარაღად ქვეყნის, განუწყვეტელ მეჯლისში ყოფილა; ხალხი გრძობდა თვის ეროვნულ თვით არსებობის სახიფათო მდგომარეობას, სამღვდლოება კი სიამოვნებით ხელს უწყობდა თვის სამწყსოს გადაგვარებას; ხალხი რაიმე პროექტს აცხადებდა თვის ასეთ შევიწროება-შეღახვისათვის; ხოლო ეკლესიის მსახურნი ისხნდნენ თავისთვის თბილად, რბილად და გულზე ხელდაკრებილინ შესტეორდენენ სამწყსო ტანჯვა-ვაებას.*) — თუ ეს ვითარება სიმართლესთან ახლოა, მაშინ სამართლიანია სამღვდლოების „ხორცმეტად“ აღიარება, მაგრამ ეს ვითარება იმდენად შორს არის სიმართლისაგან, რამდენად აღნიშნულ წერილის ავტორი შორის სდგას ეკლესიაზე და სარწმუნოვნებაზე. ხოლო რამდენად ეს ვითარება სიმართლესთან ახლოა, ჩვენ ეს მოკლედ დავასურათთ ხემოდ. ესლა განვაგრძოთ ავტორის მიმოხილვა: „აი სწორედ ამ დროიდან იწყება „როდესაც სამღვდლოება იქმნა ცნობილ „ხორცმეტებად“, — იწყება ქართველ სამღვდლოებაში ნაციონალური სულის კვეთება ავტოკეფალიის აღსადგენად...**)“ აი სწორედ ამ დროიდან იწყება ქართველ სამღვდლოებაში მოძრაობა ერთის მხრივ რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ და მეორე მხრივ ეკლესიურ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ჯერ-ჯერობით რუსეთის ბიუროკრატის მხოლოდ ზოგიერთა წარმომადგენელს ესის, რადიენად ხელსაყრელია რევოლიუციონურ მოძრაობის განსაღვი-

*) მოიგონეთ, ბატონო, გაბრიელ ეპისკოპოსის და იანოვსკის ხელ ჩართული ბრძოლა, სხვას თავი დაეანებოთ..

**) არა, ბატონო, ჩვენი სამღვდლოების ყოველგვარი სულის კვეთება იწყება მაშინ, როდესაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შესაძლოა ჰყო რაიმე სულის კვეთების გამომკვლევება. — მანამდე თქვენც მონურად სდუმდით და ჩვენცა..



თარბლად საქართველოს ეკლესიაში ძველი წესების შერჩენა, და ამიტომ მხოლოდ იშვიათად თუ უკერს ვინმე მხარს ჩვენ მღვდლებს ავტოკეფალიის საქმეში... საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მალე იმ სახადს შინაარსის მსრავ წარსდგება რუსეთის წინაშე, რომლითაც იგი რევოლიუციის ჩამქრობელი საშეაღება და მაშინ ჩვენს მღვდლებს შესაძლოა სრულიად რუსეთის რეაქციამ მისცეს მხარი. ასეთ პირობებში ადვილი გასაგებია, როგორი პოზიცია უნდა დაიკავონ საქართველოს პროგრესიულმა ელემენტებმა: იმათ გაბედულად უნდა დაძვონ ქართველ ეკლესიის რუსიფიკატორული პოლიტიკა და გადაქრით მოითხოვონ ეკლესიის სრული განცალკევება სახელმწიფოს ცხოვრებისაგან“.

ესთქვით ეს კარგი, მაგრამ ერთი ვკითხოთ ავტორს—ის რა „ახალი შინაარსია“, რომლის „მხრივ მალე უნდა წარსდგეს რუსეთის წინაშე საქართველოს ავტოკეფალია და ისე წარსდგეს, რომ მას სრულიად რუსეთის რეაქციამ დაუპიროს მხარი? ვერ მივხვდით ავტორის ამოცანა და ესთხოვთ აგივიხსნას იგი.—რამდენადაც ვიცით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ჯერ-ჯერობით ის შინაარსი აქვს, რომელსაც შეუძლია გაცენოს ავტორი დღევანდელ შედგენილ პროექტში. მრთალია, ეს პროექტი ნაქარეუად არის შედგენილი, მართალია მას ბევრი ტენიკური ნაკლი აქვს, მაგრამ ძირითადი პრინციპები მისი დემოკრატიულად არიან ცნობილნი; შეიძლება თქვენ არ გაკმაყოფილებდეს პროექტის ძირითადი პრინციპები, ამ შემთხვევაში—რაც ჩვენ ვერ გავიგონეთ, ის თქვენ გვიკარნახეთ, ეს მით უმეტეს საქროა, რომ თუ ჩვენ მიერ მიცემულ შინაარსით წარსდგა საქართველოს ეკლესია რუსეთის წინაშე, მაშინ „პროგრესიულმა ელემენტებმა გადაქრით უნდა. მოითხოვონ ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან“ და თუ—ჩვენთვის საიდუმლო შინაარსით წარსდგება,—მაშინ აღარ იქნება საქრო ასეთ „გადაქრით მოთხოვნა“. ეს მეთი რომ არა ესთქვით გაუგებარი ადვილია წერლისა და ითხოვს ახსნას, განმარტებას.

ჩვენ ტყვილა ვაწუხებთ წერლის ავტორს ავტოკეფალიის „ახალ შინაარსის“ მოთხოვნით, ის ასეთ შინაარსს ვერ მოგვეცემს იმ უბრალი მიზეზით, რომ „ეკლესია, —ავტორის სიტყვით,—თავისთავად, თავის ბუნებით ხალხის თვითმოქმედების

უარყოფელი“. მაშასადამე, როგორც ასეთს, ეკლესიის რაც უნდა შინაარსი მისცე, როგორც გინდა და გადააბრუნ-გაღმობაბრუნ,—ის მაინც მეთი ბარგია, ის მაინც ხალხის დამბნენლებელია, ის მაინც ხორცმეთია ხალხის ორგანიზმზე და უსათუოდ უნდა მოიკვეთოს.—ავტორს ჰგონია ასეთ ოპერაციად საქმისია ეკლესიის სახელმწიფოდგან განცალკევება, მაგრამ ამას პროექტიც რომ თხოულობს?! მაშასადამე საქროა უფრო რადიკალური ზომები მის სრულიად გასანიავებლად. ეს კი თვით „უოჯოხეთის ბუეთაც“ არ ძალუძს, როგორც გვიანდღეს მიაცხოვარმა. თქვენ გაუცინებთ ამის გაგნებაზე, მაგრამ ეს მაინც აგრეთა...

(დასსრული შემდეგ ნომერში).

დეკ. 6. თაღაქაქე.



აზრი საქართველოს მკალესიის შესახებ რუსეთის განსაკუთრებული კრებისა. (особого присутствія).

მესამე თვეზე მეთი იქნება რაც რუსეთში შესდგა მთავრობისაგან დამტკიცებული და მის გემოზე მოწყობილი ღვიის მტყყელ, სასულიერო და საერო პირთაგან განსაკუთრებული საკრებულო (особое присутствие) რუსეთის ეკლესიის რეფორმებისათვის მოსახდენად და ამ რეფორმების მოშავალ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე განსახილველად ამ საკრებულოში მსჯელობის საგნად გამხდარა წინდაწინვე სხვადასხვა ეპისკოპოსებისაგან შემუშავებული აზრები საეკლესიო მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ. მათშია გატარებული, სხვათა შორის, გეგმები სამრველობის, სამოწესრიგო, სავბარქო და სამიტროპოლიტო ფუნქციების უმჯობესად დაყენებაზე და აგრეთვე დასმულია ზოგიერთი კითხვები განსამარტებლად და საეკლესიო ცხოვრებაში გასატარებლად. მუშაობა და დადგენილებანი ამ საკრებულოსი საინტერესო უნდა იყოს ჩვენ, ქართველებისათვის, იმდენად რამდენად იგი უცხო რამეს, რაც რუსეთის ეკლესიის სფეროში დღემდე არ ყოფილა და აწი, როგორც ახალს, უკეთესად მოგვარებულს, განსაკუთრებულს რეორგანიზაციას წარმოადგენს საზოგადოდ და კერძოდ



ყურადღების ღირსია ჩვენთვის, როდესაც იგი (საკრებულო) ასე თუ ისე ეხება საქართველოს ეკლესიას.

ამ საკრებულოში ქართველებს ადგილი არ ჰქონია, თუ არ მივიღებთ სახეში ორიოდ სხდომებს, სადაც შემთხვევით დასწრებიან მარტში ვისიკოპოსები იმერეთისა ლეონიდი და სოხუმისა კირიონი, რომელთაც მიუღიით მონაწილეობა იმ მსჯელობაში, სადაც შეხებიან არა ქრისტიანთა შორის ქრისტიანობის ფაერცელების საქმეს. რომ სთქვას კაცმა საქართველოს ეკლესია, თავის-თავის დამოუკიდებლად სხვა ეკლესიებიანაც მადვიარებელი კანონების და პრაქტიკის მიხედვით საქოროდ არ სთვლის უცხო, გარეშე ეკლესიისაგან წამოყენებულ კითხვების განმარტების საქმეში ჩარევას, მაგრამ, როდესაც რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები ჩვენის ეკლესიის ბედ-იღბალზე თავის მსჯავრს სდებენ, მაშინ ჩვენის მზრითაც უნდა ყოფილიყვნენ იქა მათის მსჯელობის დამფასებელ-კრიტიკოსები; ამას მისთვის ვამბობთ, რომ რუსეთის ზოგიერთს ღვთის-მეტყველთ, სევერატისმის შიშით აქანკალდებულთ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფლობა უღროოდ და უდღიოდ მიანჩიათ და აწიკ სურსთ საქართველოს ეკლესია იმ კალაპოტში ჩაყენონ, როგორშიაც ამ ასი წლის განმავლობაში ჰყავდათ. აი როგორ სწერენ მაგალითად ისინი*):

ამა 1906 წლის 18 აპრილს მომხდარ კომისიის თავმჯდომარე და წევრები ანჩაიო აზრს ადგანან ეკლესიის ოლქებად დაყოფის შესახებ:

თავს-მჯდომარე, ლიტოვის მთავარ-ენასკოპოსი ნიკანდრე. კითხვა სამიტროპოლიტო ოლქების დაარსების შესახებ გადაწყვეტილია. ყველას სურვილია შესდგეს ოლქები ძველის, საეკლესიო წეს-წყობილების თანახმად, ამას ვარდა ხუთი მწვერი მომხრე არიან იმ აზრისა, რომ დაარსდეს იმისთანავე ოლქები განაპირა კუთხეებისათვის: საქართველოში, ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში და სხვაგან.

ამის შესახებ, სხვათა შორის, ამისთანა შენიშვნებია დასმული: 1) ჩრდილოეთ-დასავლეთის და სხვა მხარეებში მოუხერხებელია უფლების მექონე მიტროპოლიტების დაარსება იმ დროს, როდესაც მათ გვერდში, მაგ. პეტერბურგში, ეყოლებათ ტიტულის

მექონე მიტროპოლიტები; 2) განაპირა კუთხეები უპირატესობას დაიჩემებენო და შესაძლებელია სევერატისმა ღრმად ფესვები გაიდგას იქაო.

რომ ამ შენიშვნებს მოსაზრებანი აკლდათ თავმჯდომარე გაუთვალისწინა იქ დამსწრეთ განაპირა კუთხეების ცენტრისადმი დამოკიდებულება, რომლისგანაც საშიშო არაფერი არ წარმოადგება.

ნ. ს. სუფოროფო. საოლქო საქმეში განაპირა მიტროპოლიტები დამოუკიდებელი იქნებიან. ასეთიკ უნდა იყვნენ ისინი კანონებს თუ მივიღებთ სახეში უუფლებო მიტროპოლიტი წარმოუდგენელია, მაშინ-სადამე ის გამოდის, რომ ჩვენ შევთხზავთ ახალის ტიპის მიტროპოლიტებს. რაც შეეხება განაპირა მიტროპოლიტებს ჩემის შეხედულობით საქმე ტიტულისა და მიტროპოლიტების ინსტიტუტის დაარსებაში კი არაა, არამედ, ადგილობრივს საეკლესიო ძალების გაერთიანებაში მოპირდაპირე ძალებთან საბრძოლველად.

თავმჯდომარე. ამბობენ, რომ ასეთი მიტროპოლიტები არიან მხოლოდ ტიტულიანები, განსაკუთრებულის უფლებათა არა მექონე როგორც უნდა იყოს განაპირა კუთხეებისათვის მიტროპოლიტების დაარსება რა საქორაო.

ნ. ა. ზაფხურსკი. განსხვავება ტიტულიან და განაპირა მიტროპოლიტთა შორის იქნება მხოლოდ მასში, რომ უკანასკნელნი იქნებიან ალტურვილნი ახალის მოკლებებით, რომელსაც პირველები მოკლებული იქნებიან.

თავმჯდომარე. ტიტულიანი მიტროპოლიტები წინეთ ჩვენშიაც იყვნენ, მაგალითად როსტოვსა, ციმბირსა და სხვაგან. მაშასადამე აქ ახალი არაფერია.

ნ. ა. ზაფხურსკი. ჩვენ ახალს არაფერს ვთხზავთ. მიტროპოლიტების უფლებანი კანონებითაა განსაზღვრული. სასურველია კანონების ძალის აღდგენათანამდებობის მექონე მიტროპოლიტების შესახებ ისე კი არა, როგორც ახლაო.

ბ. ზ. ზაგაბენკოვი. უკეთეს მიუცილებელია სამიტროპოლიტო ოლქების კითხვებში ძალთა გაერთიანება და ორგანიზაცია კრებაზე, მაშინ იმათი დაარსება საქორაო. ეს ეხლა უფრო საქორაო განსაკუთრებით განაპირა კუთხეებისათვის. ცენტრის თაობაზედაც ბევრი რამაა სათქმელი. მაგალითად ქარხნებლან უამრავი ძალები აწევიან და ანტირე-

*) იხ. „Церковныя Вѣдомости“, 1906 წ. № 19.



ლიგიური მიმართულება ფართო გზას პოპულობს. განა სამიტროპოლიტო კრებები ცენტრში საქირო არ იქნება.

თავმჯდამარე, დეე, როგორც განაპირა ისე ცენტრალიზო მიტროპოლიტები შესდგენენ ერთად და ისე იმოქმედონ.

ნ. ა. ზაზუნსკაი. ეს მიინც მიუცილებელი იქნება მოსკოვის მიტროპოლიტისათვის ახლო მომავალში. მოსკოვში აუარებული წრეებია, რომელნიც თხოულობენ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას და სამუდამოთ უნდათ შეიტანონ საეკლესიო ცხოვრებაში ახალი პრინციპები. აი აქაა მათთან გამკლავება საქირო.

პროფესორი ზაიენცივი უჩვენებს სადაა უფრო სასურველი მიტროპოლიტების დაარსება.

ნ. ს. სუფოროვი. რუსეთის ეკლესიის დაყოფა მექანიკურად არ უნდა მიხდეს. ამისთანა დაყოფა გავრთიანებას ვერ მოახდენს. სადაა ოლქები საქირო ამას ჯერ ვერაინი მიხედება.

ბ. ს. ზაიენცივი. ჩვენ შევადგინეთ კიევში გეგმა ეკლესიის დაყოფისა 14 ოლქად, არა მექანიკურად, არამედ შინაგან მოთხოვნილებათა დაგვარად და სახეში გეკონდა ჩვეულებანი, ყოფა-მდგომარეობა და გზები.

თავმჯდამარე. რამდენი რა ესაქიროება ჩვენს ეკლესიის ცხოვრება ამას კანონტიდან ვერ გამოარკვევს, დეე ცხოვრებამ თვით გვიკარნახოს სად რომელი ოლქია დასაარსებელი. ამისდა მიხედვით დაიყოფიან სამიტროპოლიტო ოლქები ჯერ განაპირა კუთხეებისათვის და მერე ცენტრისთვისაც.

ნ. ა. ზაზუნსკაი. საბერძნეთის წაბაძეა ჩვენ არ გვარგია, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ საამდროო ეკლესიის მოთხოვნილებანი, სიმეტრია და ტერიტორია ნუ გავციტაცებენ. ჩვენი ენარქიები დიდია. ვის ძალუძს თვლი შემოავლოს ერთბაშად ეკლესიის ყოველს მხარეებს და კითხვებსა. საეკლესიო ცხოვრების სწორე განსავითარებელადაა საქირო სამიტროპოლიტო ოლქების დაარსება და არა „ანგარიშების“ მიცემა. პეტერბურგისათვის გამოსადეგი განკარგულებანი შეიძლება განაპირა კუთხეებისთვის საზარალო იქნეს. ერთს დროს მიტროპოლიტს ფელარეტს მიუთითეს მაგლითისათვის მისაბაძეველ ციმბირის ეპარქიაში სამუქს რიგოების დანაწილების შესახებ, იმან კი ამაზე ასე მიუყო: „ეს იქნება

ციმბირისთვის კარგი იყო, მაგრამ ციმბირის დადგენილება მოსკოვისთვის გამოუსადეგარიაო“. განაპირა კუთხეების საეკლესიო აღორძინებისათვის საქირო ყურადღების მიქცევა იმათ განსაკუთრებულთვისებისათვის. როდესაც ცენტრი ექნებათ სახეში იქსებაარატიზმი არაფერს საშიშრობას წარმოადგენს თქვენ ამბობთ საქართველოს შესახებ, მაგრამ იგკაი ხანია თხოულობდა დიდა ყურადღების მიქცევას იმისთვისებათა, ენასა, ჩვეულებათა და სხვათადმი. მაშინ მგვომარება, როგორც ახლან არ გამწვავებოდა.

თავმჯდამარე. ამას გარდა მიუცილებელია, რომ ექსარხოის მუდამ საქართველოში სცხოვრობდეს.

ბ. ს. ზაიენცივი. ჩვენს აკადემიეში შეხედებით ქართველ სტუდენტებს. თუ რამეს კარგს მოკრეს ყური იმათ შესახებ გამოთქმულს, იმათ სიხარულს მაშინ სასლვარი არ აქვს და სხვაერატიული შეხედულებას მათში ადვილი არა აქვს.

ნ. ა. ზაზუნსკაი. ჩვენში ოლ. ბ. გარსკის დროს პასექის დროს წაიკითხეს სახარება სხვადასხვა ენაზე და სხვათა შორის ქართულადც რის გამო კართველი სტუდენტები დიდი ემყოფილი დარჩენ.

ნ. ს. სუფოროვი. როგორ შეიძლება დიდი ოლქების მიტროპოლიტებმა ადვილობითი პირობებს თვალყური ადევნონ. რაც შეეხება საქართველოს ნუ დიდვიწყებთ არ ცოტა ნაშით იყო ქრისტიანობისა კავკასიაში საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, რამდენი ვაკეთდა საქართველოსთვის! ეკლესიის გასამშვენებლად, სამღვდლოების განათლებისათვის და რა იქნებოდა რუსეთი, რომ არ მიშველებოდა. ეხლაც ყველა ეკლესიებში ყულაბებია კავკასიაში ქრისტიანობის აღსადგენელ საზოგადოების სასარგებლოდ შემოწირულებათა მოსაგროვებლად.* საქართველოს შესახებ თუ რამე ითქვა სახეში

(* და რა სარგებლობა გამოდის ამ ფულების კრებიდან. ფულები იკრიბება მართალია. მაგრამ რუსის მართებლობისაგან დანიშნული პირები ისე უსარგებლოდ ხარჯვენ ამ ფულებს, რომ ქრისტიანობის გავრცელებას მაღუნდა არ ეხმარება. განა რაც ფულები იკრიბება ყველა დანიშნულებისამებრ იხარჯება? მიტროპოლიტის ისიდორუს დროს; როცა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არსებობდა უფრო მეტი იყო ეკლესიის სამრევლოები. შემდგომი სამრევლოების რიცხვმა იკლო, მაგრამ ექსარხოების დაჯილდოებამ ქრისტიანობის გავრცელებისათვის* იმატა.

რედატორი.



უნდა ვიქონიოთ მაშინ პოლიტიკური შიში. მე ამის თქმა არ შემიძლია, რომ ჩვენი დამოკიდებულება საქართველოზე ყველაფერში კარგი იყავს. მაგრამ თავის განმარტებაზე კი არას დროს არ უნდა ვცდით.

ნ. ა. ზაოზუნცა. თქვენ სულ მოსკოვის ალბით ზომავთ... იქნება ქართველს თავისი ღარიბი ეკლესია ურჩევნია შენს მდიდარს და უსწავლელი მღვდელი ნაწილად.

ბ. ზ. ზაგრაძე. წერილში ანგარიშებისაგან მოხშირად აღმინანისადმი პატივისცემა დავიწყებულა. ქართველები არ უნდა გააღიზიანოთ. წარმოიდგინეთ რამდენი ღრმა მოწიწება და გულითადი მადლობა გამოხატული ქართველ სტუდენტთა თხზულებებში რუსეთისადმი. ეს გრძნობები შესაწყნარებელია.

თამარაძე. ქართველები თავიანთ ეკლესიის ავტოკეფალიზმისაკენ მიდრეკილნი არიან თუ არა მიეცეთ ეს მათ?

ნ. ს. სუფრაშვილი. სავალალოა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მავალითი ბოლგარელებთან, იმას არ უნდა მივბაძოთ, განა ქართველები ბოლგარელებივით გათახსირებული არიან? იქ ბოლგარული ენა იყო აღკრძალული ღვთისმსახურებასა და სკოლაში.

ბ. ნ. მანუჩარაძე. არა, სამრევლო ეკლესიებში ღვთისმსახურება სრულდებოდა სლავიანურ ენაზე. ეპისკოპოსები თავიანთ საკათედრო ტაძრებში უმეტეს ნაწილად ბერძნულად სწორავდნენ ხოლმე. სამი პატრიარქი მეტრამეტე საუკუნეში განკვეთილი ბოლგარელები იყვნენ, მაგრამ ხალხის გრძნობა შებღბული იყო; ესაა თავი და თავი.

ნ. ა. სუფრაშვილი. აქნამდინ სხვანაირად ვფიქრობდი მე; მეგონა, რომ ბრძოლა გამწვავებულია ენის შევიწროებით ღვთისმსახურებასა და სკოლაში და ბერძნის სამღვდლოების დანიშნებით.

ბ. ბ. მანუჩარაძე. უკეთესი ეს ეკლესიაში წირვალოცვა სლავიანთ ენაზე და ერთს ეპარქიალურში კი ბერძნულად, ეს უფრო შეურაცხყოფის ნიშანია. სკოლები ცოტა იყო და სწავლაც მათში ბერძნულად იყო. იერარქებიც ბერძნები იყვნენ, ანუ განკვეთილნი.

ნ. ა. ზაოზუნცა. ბოლგარელებსა და ბერძნების შორის ბრძოლა ატეხილი იყო ფულების შესა-

ხებ. ფულების შემოსივალს ბულგარია აძლევდა პატრიარქსა.

დეკ. კოაფოვი. რაც შეეხება ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, ვიწროებ; იქ შიშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სეპარატიზმის ეკლესიურს ნიადაგზე.

ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეზე მართლ-მადიდებლობა სახელმწიფოს ქვე-კუთხელია, სამღვდლოება უნებურად თავიანთ საუბრებში ხალხთან ხანდახან პოლიტიკურ კითხვებსაც ეხებიან. მაგრამ ეს ხომ სასარგებლოა სახელმწიფოსთვის.

დეკ. ბუტკევიჩი. შეიძლება აქედამ წარმოსდგას შეცდომა, რომლის შეკახებით მართლ-მადიდებელი რუსეთის სინონიმად გახადეს.

დეკ. კოაფოვი. ამაში მართლ-მადიდებელ სამღვდლოებას არფერი დამნაშაობა არ მიუძღვის.

დეკ. ბუტკევიჩი. ყოვლად სამღვდლო ლეონტი თვითონ მალოროსია, მან შემომჩვილა გარუსებისათვის, რომ 20 ველიკორუსის მღვდლები გამოიგზავნეს და სარგებლობის მაგიერ მათ ზარალი მოვიტანეს.

დეკ. კოაფოვი. აქ დამნაშავეა თავის ძალ-მომრებით ადგილობრივ ადმინისტრაცია, ბიუროკრატია.

ნ. ა. ზაოზუნცა. არც მეფესა და არც სათათბიროს არ დაუტყობიათ ჩვენთვის რუსეთის მთლიანობაზე ზრუნვა. ჩვენ მოვანდეს საეკლესიო საქროებაზე მსჯელობა და ზრუნვა და სხვა არაფერი.*)

დეკ. ბუტკევიჩი. ბოლგარიის მავალითის მოყვანაზე ჩვენ დავაფიქრა საეკლესიო დეცენტრალიზაციის შედეგებმა.

თამარაძე. აქნამდინ სახელმწიფოსა და ეკლესიაზე ცალ-ცალკე მოხსარება ჩვენს საგანს არ შეადგენდა.


ბ. ზ. ზაგრაძე. სეპარატიზმის შესახებ შიში განაპირობა კუთხეებისათვის არაფერს შეიცავს. სარწმუნოებითი ელემენტები ყოველთვის აერთიანებდა

(* საკვირველი ორჯოლობა!! როდესაც ეკლესიაზე მსჯელობენ სახელმწიფოს ინტერესებსაც იცვენ და ამასთანავე იმ აზრსაც ატარებენ, რომ რუსეთის მთლიანობაზე ზრუნვა კი არაა ჩვენი საქმე. არამედ საეკლესიო საქროებაზე: ქუც კრთან და ქუც კრავენ... დიდ ხარ შენ უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენი!..



ძალებს, მალოროსია მიისწრაფოდა მოსკოვისა და რუსეთის მეფისაკენ. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ჩვენ უნდა დავზოგოთ განაპირა კუთხეების თავმოყვარება. საქართველოც არაა საშიში. მხოლოდ არ უნდა გავადიხიანოთ ქართველები.

მლ. კ. ანთაძე



რასაც მივმონან მებს უზამ.

(ხალხური არაკი.)

ბევრი რამ საინტერესო ამბები და არაკები გამიგონია, ბევრი რამ გასაოცარი მინახავს და შემიტყვია ცხოვრებაში და თუ ყურს დამიგდებ, ჩემო ძირფასო მკითხველო, დრო და დრო მოგიყვებით ხოლმე ბევრს რამე საყურადღებოს. დარწმუნებულ ვარ ბოლოს მაღლიერი დარჩებით და ბევრს საქირო, სასარგებლო გამოცდილებითი ცოდნას შეიძენთ. მაშ თქვენი ნებადართვით პირველად მოგიყვებით ერთ ხალხურ საინტერესო არაკს. იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდა. იყო ცის ქვეშ ერთი დიდი ხელმწიფე, რომელსაც ყავდა ბევრი ნახირ ვეზირები. ამ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი მოხუცებული, დიდი თანმდებობის პირი, თუმცა ნახირ-ვეზირებზე მეტი თანამდებობა არ ჰქონდა, მაგრამ ისეთი გავლენა და ისეთი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული მეფისა, რომ მისდა დაუკითხავად არც ერთ ვეზირს არ დანიშნავდა და არც ერთ ფირმანს არ გამოსცემდა. ყველა ვეზირები ამ პირს გარეგნობით პატივისცემით ეპყრობოდნენ და გულში კი რას ფიქრობდნენ, ვინ იცის!.. ხელმწიფისაგან შეეყვარებულს ამ პირს მომხრებელიც ბევრი ჰყავდა საზოგადოებაში. ამ პირს ნახირ-ვეზირები დიდ პატივს სცემდნენ და ყველა მაცადინობდა მისი ყურადღება დამსახურებოა, რადგან როგორც ვეზირის დანიშვნა ისე დათხოვნაც კი შეეძლო. ვეზირები ბევრს მაცადინობდნენ მეფეს დაეთხოვა იგი და თავიღამ მოეშორებია, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა იმედობდნენ, რომ ახალგაზდა ხელმწიფე დაითხოვდა მას და ამით ნუგეშობდნენ და აღტაცებულნი ფიქრობდნენ თავისუფლად მოქმედებას და ნაივარდობას. მართლაც მათი სურვილი აღ-

სრულდა. ხელმწიფე მძიმედ ავად გახდა. ბევრი საშუალება იხმარეს, ბევრი ექიმები მოიყვანეს, მაგრამ ვერც ერთმა ექიმა ვერ უშველა. ეს მოხუცებული მრჩეველი არ მოშორებია ერთ წუთს თავის საყვარელ ხელმწიფეს. უკანასკნელ დღეს დაიბარა ყველანი და ტახტის მემკვიდრეც გამოეთხოვა ყველას და დაიტოვა ეს მოხუცებული ვეზირთა ვეზირი (ასე უწოდებდა მას ხალხი) და მემკვიდრე. შემდეგ დაიწყო: „ჩემო საყვარელო შეილო, ხომ ხელაგ მე მივლივარ ამ ქვეყნიდან. ჩემ შემდეგ შენ უნდა იქნე ჩემი დიდი სახელმწიფოს გამგე და მბრძანებელი. არ დაავლო ის გზა, რომლითაც მე დავდიოდი ამ ქვეყანაზე. გახსოვდეს ჩემი დარიგება და მტკიცე აღასრულე შენს სიცოცხლეში ყველა ის რასაც გეუბნებოდი. ერთ დარიგებას გიტოვებ, რომელიც ყოველთვის გახსოვდეს და ასრულდეს. იყოლიე ყოველთვის მრჩეველად ეს პატიცემული (უჩვენა ვეზირთ ვეზირზე) მოხუცი და დიდი გამოცდილი პირი; მაგის დაუკითხავად არავითარი განკარგულება არ ჩაიდინო და სანამ მაგან არ გირჩიოს დიდი თანამდებობის პირები—ნახირ-ვეზირები იქნებიან თუ სხვანი სხვისი რჩევით უმაგისოდ ნურავის დანიშნავ. ერთი სიტყვით გიცხადებ: უმაგისთ არავითარი ცვლილება სახელმწიფოში არ მოახდინო და რაც გირჩიოს და მოგიწონოს ის აღასრულე და რომ უზრუნველი იქნები ათასნაირი უბედურობისაგან, რემელნიც ხელმწიფეებს ხედვებთ ხოლმე ცხოვრებაში.“

თუმცა ხელმწიფის ესეთი დარიგები თავის მემკვიდრისათვის საიდუმლოდ იყო ნათქვამი, მაგრამ ნახირ-ვეზირებმა მანიც გაიგეს და უფრო შესწუხდნენ.

მეფე მალე გარდაიცვალა. ვეზირთ ვეზირის რჩევით აცნობეს მეფის გარდაცვალება ხალხს და ხალხის უმფროსებს დაავალეს, მისწვრონ ვეზირებს, რომ მეფის სიკვდილის ამბავმა დიდ მწუხარებაში ჩააგლო ყველანიო. ყოველი ქვეშევრდომი თავზე ნაცარ დაყრილი და შავებში გამოწყობილი დღე და ღამე ტირის და ქვითინებსო...

მოსდგენ სახელმწიფოს გამგებელნი სახელმწიფოს ყველა კუთხეებიდან და დასასრული აღარ მისცეს ცნობების გზავნას. ისეთნაირად იყო აღწერილი ქვეშევრდომთა ტირილის და გოდების ამბები, რომ მათი კითხვა თქვენც აგატირებდა. ვეზირთ ვეზირმა დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ თავის მეფე ქვე-



შევრდომებმს მეტის მეტად უყვარდათ... დიდხანს იგლოვეს ანაირად გარდაცვალებული მეფე და მერმე დაიწყეს ღღესასწაულობა ახალი მეფის დაღვინისა. ახალ ხელმწიფესთან ახალგაზდა ვეზირები შედინიერად გრძობდნენ თავს, მაგრამ როცა მოხუცებულ ვეზირთ ვეზირს დინახავდნენ მათი გული დაღონდებოდა ხოლმე. ბევრი იფიქრეს, ბევრი საჯეს იმაზე თუ როგორ მოიშორან თავიდან ვეზირთ ვეზირი, მაგრამ ვერა მოიგონეს-რა.

ნაზირ ვეზირები და სხვა მორწმუნე ქვეშევრდომთაგანი ხშირად იკრიბებოდნენ, დიდი ხნობით ბაასობდნენ თუ როგორ მოიშორან ეს კაცი, მაგრამ სრულებით ვერა მოიფიქრეს-რა. შეიტყვეს ზოგიერთებმა ნაზირ ვეზირების განზრახვა ვეზირთ ვეზირის წინააღმდეგ და ერთგულნი ვეზირთ ვეზირს მიუტანდნენ ხოლმე საიდუმლოდ თუ რა ცუდსა ფიქრობდნენ ნაზირ ვეზირები მისთვის. ვეზირთ ვეზირი ყოველთვის ამას იტყოდა ხოლმე: „რასაც მიზმონან მეტს უზამ“. სხვა დამუქრებას და სიტყვებს მისგან ვერაფერს გაიგონებდა.

ერთ დროს ნაზირ ვეზირებმა მოიგონეს ვეზირთ ვეზირის დასაღუპავად ერთი ხერხი. ამ ხერხის მოგონების შემდეგ სიხარულით ძირს აღარ ედგათ ვეზირი და ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ბერის მოშორების თავიანთს. ხელმწიფე ძრეელ მორწმუნე კაცს იყო; საიქიოს ცხოვრება, გარდაცვალებულთა და ცოცხალთა სულების კავშირი და მეგობრობა მეტის მეტად სწამდა. ამ სახელმწიფოში ხშირად გაგზავნიდნენ ხოლმე კაცების სულს საიქიოდან ამბის მოსატანად. იქიდანაც ხშირად გარდაცვალებულთა სულები მიიხიზოდნენ. ხოლმე ამ ქვეყნის მცხოვრებთა საიქიოს წასავლელი სული უნდა დამწვარიყო და შემდეგ გაეშავებოდა საიქიოს. მოხდებოდა რომ შეიქმნა მოვიდოდა ხოლმე სული ამ ქვეყნად და მოიტანდა ხოლმე ამბებს გარდაცვალებულთაგან. ეს ისე საადვილოდ მიიხიზდათ ამ სახელმწიფოში, როგორც ეხლა მიიხიზა ტელეფონით ლაპარაკი ასი და ორასი ვერსტის მანძილზე.

ხელმწიფე როცა ნახავდა თავიანთ დიდებულთა კითხავდა ხოლმე: „უძვირფასესის მამა ჩემისაგან ხომ არაფერი ამბავი მოგვსკლიათ, ხომ არა იცით-რა მამა ჩემისა? როგორ ნეტარეებს და რას ფიქრობს ღღეს თავის სახელმწიფოზე?..“

ხელმწიფის ამისთანა მიმართულებით და საიქი-

ოზე მისი შეხედულებით ისარგებლეს ნაზირ ვეზირებმა და ერთად მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ სათითველოდ ყველამ ხელმწიფის ნახვის დროს ცალ-ცალკე მოახსენონ ასე: „დიდებულო ხელმწიფე! მე წუხელი გამომეცხადა თქვენი დიდებული მამის სული და დამავალა მოვასხენო თქვენს უდიდებულესობას, რომ დაუყოვნებლივ გაუზავნოთ ვეზირთ ვეზირი, ყოფილი საყვარელი მრჩეველი და ერთგული მოსამსახურე. ორი სამი დღის განმავლობაში ყველა ვეზირები წარსდგენ ხელმწიფესთან და სათითველოდ მოახსენეს ყველამ ისე როგორც პირველმა ნაზირ ვეზირმა. შესწუხდა მეფე, მაგრამ რას იზამდა, უნდა აღესრულებინა ძვირფასი მამის სულის სურვილი. ვეზირთ ვეზირმა სრული თანხმობა განაცხადა საიქიოს გამგზავრებაზე, მხოლოდ მეფეს სთხოვა ორმოცი დღის ვადა მიეცა, რომ მოღვით და მონანებით გაეწმინდა თავის თავი, რომ მონანებული ნათლა და ღირსეულად წარსდგამოდა დიდებულ მის მამის ნათლით შემოსილ სულს. მეფეც დათანხმდა.

მალე გამოიკა ქებითი ფირმანი ვეზირთ ვეზირის დათხოვნაზე. ფირმანში ხელმწიფემ ჩამოთვალა და აღუწა ქვეყნის მისი სასარგებლო სამსახური, მოიხსენა ის მწუხარებაც, რომელიც გამოიწვია ყოველ მორწმუნე ქვეშევრდომში მისმა დათხოვნამ, მაგრამ ამასთანვე მოთხორობილი იყო ის ამბავიც თუ რა მიზეზმა გამოიწვია მისი დათხოვნა...

ნაზირ ვეზირების სიხარულს დასასრული არ ჰქონდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათთან ერთად ხალხიც მოხარული იყო ამ კაცის მოშორებისა, ვინაიდან ხალხიც მტრულად უყურებდა მას, რადგან დაწმუნებული იყო, რომ მეფეს მისი ჩაგონებით ბევრი რამ ხალხის საზარალო განკარგულება და ფირმანები გამოუცილავოდა.

ვეზირთ ვეზირმა თავის სახლის სიხილოვეს, ასე ორმოცდა ათ საჯენზე, მოაწყო თავის დასაწვავი სამსხვერპლო. დასდგა დიდი შეშის განიერი ზეინი, ასე სიმაღლით ათი საჯენი, შემოაყარეს გარშემო მალე მოსაკიდებლად ხმელი ფარჩხი, ფოთლები და სხვა რამეები. მეორმოცე ღღეს კობით ავიდა შეშის ზეინზე და დასდგა შუა ადგილზე, მალა აღაპყრო ხელები ღვთისაკენ დაიწყა ლოცვა და უბრძანა ცეცხლი მოეკიდებიათ ყოველი გვერდით. ერთბაშად ავარდა კომლი და აღი, მთელი ხალხი სულ განახული უყურებდა ამ დიდებული კაცის თავის ნებით



მსხვერპლად შეწირვას. ცოტა ხნის შემდეგ წაიქცა შეშის თავზე. შეკრთა ხალხი წაქცევაზე, ერთი კიდევ წამოადგა და აღაპყრო ხელი ზეცისკენ და შემდეგ ვეღარ დაინახეს. დიწვეა მთლიან ეს უშველემელი შეშის ზენი, ნატრისა და ნაკვერცხლის მტერი არა დარჩა რა ადგილზე.

ხალხის სხვა-და-სხვა გვარ მსჯელობას და ბაასს დასასრული არ ჰქონდა. ერთი შანს უგებდა, მეორე ნანობდა, მესამე მასხარად იგდებდა, ბევრი საოხუნჯო სურათებიც გამოიკა ამ კაცის შესახებ, ერთი სურათი მაინც სასაცირო იყო. ვეზირთ ვეზირი კუბოში მწოლარედ იყო დახატული და ერთი ნაზირ ვეზირი სასაქმევლით უქმედდა, რომლითაც ყველას უმტკიცებდა სამდენიეროა მისი მოშორება და საიქიოს გამგზავრება. ასე ვაიარა კარგმა ხანმა და ნაზირ ვეზირები თავისუფლად დათარჯნობდნენ სახელმწიფოში და რაც სურდათ იმას ჩაიხადდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, ერთი დრო ამ ქვეყანაზე არაავის არ შერჩენია და არც ჩვენს ნაზირ ვეზირებს შერჩა!..

ხელმწიფე ძლიერ დაფიქრიანდა. ყოველთვის მიჩვეული სხვისი რჩევისამებრ მოქმედებას და სახელმწიფოს მართვა გამგებობას, ძლიერ გაუძნელდა უშველემელი სახელმწიფოს მართვა გამგებობა. ნაზირ-ვეზირების იმედი არა ჰქონდა, რადგან იგინი ხალხის ბედნიერებაზე და სიკეთეზე მაგდნეს თავს არ იტყბდენ. მეფე დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაზირ ვეზირები მისთანა რჩევას და დახმარებას ვერ გაუწევენ რასაც მისი მრჩეველი მოხუცი ვეზირი უწევდა. როდესაც ამ სავანზე მეფე დაფიქრიანებული იხსნდა ერთ საღამოზე შემოვარდა გაოცებულნი მეკარე, თაყვანი სცა მეფეს რამდენჯერმე და მოახსენა აკანკალებული ხმით: — დიდებულო მეფეთ მეფე! საოცარი ჩენება ვიხილე, დიდებული თქვენი მრჩეველი, ვეზირთ ვეზირი მობრძანდა, აღბად მისი სულია, თეთრად ქათქათებს და თქვენი ნახვა სურს.

— მეფე აბრძანდა და უთხრა: შემოვიდეს და სხვა თუ მოვიდეს ვინმე უთხარი, რომ დღეს მე არავის ვიღებ. შემოვიდა ვეზირთ ვეზირად ნამყოფი, თავი დაუკრა მეფეს და შორეთ დაუდგა. წვერულვაში წინეთ შედებილი ჰქონდა. მაგრამ ეხლა რო. გორც თოვლი გათეთრებოდა. ტანისამოს ყველა თეთრი ეცვა და მართლაც საოცარი შესახადევი

იყო. — დიდებულო მეფე! მოახსენა მან მეფეს. ძვირფასმა თქვენმა მამამ მოხანდა მე გადმოგცე თქვენ მისი სიყვარულობითი მოკითხვა და ბედნიერი და ნეტარებითი ცხოვრება სანუგეშოდ თქვენ კეთილ მორწმუნეთა. ამასთანავე დამავალა, რომ დაუყოვნებლივ გაუგზავნო მას ყველა თქვენი ზირ ვეზირები, რომელნიც ფრიად საჭირონი არიან, როგორც საზოგადოდ მთელი სახელმწიფოსათვის ისე თქვენთვის. თუ ეს სურვილი ნეტარხსენებულის მამის თქვენისა არ აღასრულეთ უბედურება მოვლის მთელს სახელმწიფოს და თქვენც“.

შეშფოთდა მეფე, მაგრამ რას იზამდა! დაიბარა საჩქაროდ ნაზირ ვეზირები და გამოუცხადა მათ თავის მამის სურვილი, რომელიც მან შეიტყო საიქიოდან ერთი მოსული სულისაგან. თქვენ ყველანი ერთად უნდა გაემგზავროთ დაუყოვნებლივ. გამოვითხადე და უბრძანა მეფემ, მშვიდობით! მშვიდობითი მგზავრობა მოგცეს დმერთმან და გარდასცა მოხელეებს რათა სისრულეში მოაყვანათ საიქიოს მათ გასამგზავრებლად ყოველივე წესი.

მოამზადეს სამსხვერპლო და ერთად ყველა ნაზირ ვეზირები შეიყვანეს სამსხვერპლოზე და დასწესეს. ანაირად ნაზირ ვეზირები შორს გაემგზავრნენ, საიქიოს და მეფესთან საიქიოდან დაბრუნებული სული დარა და ყოველივე რჩევას და აზრებს უშნადებდა. ეს სული სრულებით აღარ მოშორებია ამ მეფეს და ვეზირები თუმცა ინიშნებოდნენ, მაგრამ მათ არაფერი არ ეკითხებოდათ..

ზოგიერთების სიტყვით ის არ დამწვარაო. მისი სახლიდან მიწაში ხვრელი იყო გასული შეშის ზენიამდის. შეშის ზენის შუაზე ჩამოსასვლელი ხვრელი ჰქონდა დატოვებული; როცა ცეცხლი გაძლიერდა მაშინ შეშის შუა ხვრელიდან ჩამოვიდა და გამოყვა ძირა ხვრელს სახლში ამოძვრა და იქ დაიმალო, ხვრელს კი მიწა მიაყარა. როცა ნაზირ ვეზირები მოაშორა ხელმწიფეს ისევე ერთგულად ემსახურება და მისი მრჩეველი გახდა როგორც ყოველთვის იყო.

დღესაც ყველანი იმეორებენ მის სიტყვებს: რასაც მიზმონან — მეტს უწამ.

რასაც მიყოფენ — მეტს უყოფ..

მეფე ასე მოხიზლული ყავდა, რომ არასოდეს არ მოიცილებდა და ყველაფერს მას უჯეროდა. ეს კაცი შეიხულ-ისლამების მბრძანებელიც იყო..

სოფლის ხუცესი.

სანსტორიო მასალა.

წერილი სოლომონ მეფისა ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსთან მიწერილი 17 მაის 1810 წელსა.

მეფე სრულიად იმერეთისა **სოლომონ** უსამლოთესს მარჯვენეს გეგმბორებით. მერმეთ, როდესაც გარდაწყვეტილ გული დავაჯერე, რომ რუსეთს მისტუმრებდნენ, თქვენის მოშორებისა და იმერეთის საუკუნოდ დატევების ცეცხლი ჩემს გულს მოგვხნა. ცას ქვეშეთს დიდებას თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიკაცხეობა ათს ამ თვისს, ღამის ორს საათს გასულს, ღვთის მოწყალეობით თფილისიდან გამოვეცი. ოთხნი წერეთლები, ორნივე ძმები ერისთავები და დაბუაშვილი მათის კაცებით, ოცდ-დასამი ცხენიანი აქ ახალციხეს მშვიდობით მოვედით. თქმად შეუძლებელია დიდთა და მცირედთაგან ერთობით ჩემის მოსვლისათვის ამათი სიხარული. აწ თქვენგან და მთლად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის,—მე თუ სხვა სამსახური რომ დამიქვლია იმერეთისათვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივის-ცემისა და სიყვარულისაგან არა-ოდეს ჩემი გული არ გამძღარა. აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის—თავი გარდავსდევ თქვენთან სიკაცხეობისათვის. ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ. თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც თქვენის მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებდი. მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათს ხელში უნუგეგმოთ კენესიან, და დღე და დღე ოჯახის პატივით მდაბლდებიან, სახლისა და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმულნი შეიქნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მიადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათ ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ. დღეს რომ პატივის-ცემენ, ხვალ ყოველის ქვეყნისაგან იმერეთში უმეტესად დაკარგულ ცოლ-შვილს პატიოსნებას ახდინან. შეხედეთ ქართლ-კახეთს, რომელნიც პირველად ფიცითა და ოქროთი მოატყუეს, და დღეს აღარც სიმდიდრე უხარბიანთ და აღარც თავიანთი სახლი; სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით,

რომ თავიანთ ჩვეულებას თქვენთვის არ გამოცვლიან, არც თქვენს მიამა-პაპათ იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულის შეტკიცება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ. ეს არის დღე ერთგულობისა და ჩვენთვის დათხეულთა მიამა-პაპათა თქვენთა სისხლთა განახლებისა, რომ განთავისუფლებისა თქვენისათვის გამოაცხადოთ ერთგულება თქვენი, რომელიც აქამომდე ყოველს ქვეყანაზედ იმერეთი ჩინებული ყოფილა მემკვიდრის მეფის ერთგულობაზე და უმეტესად თქვენი ოჯახი და თქვენი ჩვენთვის თავდადებულნი ბრძანებულხართ. ნუ დაადგებთ საუკუნედ საძრახის საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავე, რომელნიც ხორციელად დატანჯულნი სიკვდილსა ნატრულობენ.

გაისარჯე თქვენგურად; ოჯახი დიდი თუ მცირე თქვენთან დამოკიდებული და თქვენი სამწყსოა, რომ არ იყოს არ არის იმერეთში; ყველანი განამტკიცეთ და თქვენი ჩემზე მიამა-შვილური სიყვარული და შემძლებლობა დღეს გამოაცხადეთ. თუ დამაჯერებთ მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უჯლის ჯარებს აღარ დავტყებ, რომ ღვთისა და თქვენი შემაწუხებელი საქმე არა მოხდეს-რა, და როგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამაზედ გული დააჯერეთ, თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიკაცხევე უნდა დავასრულო.*)

დასმულთა ბეჭედი სოლომონ მეფის.

წერილი მთრამ მისაილოშიდან

გატრამელება *)

პირველი ჩვენი წერილი თფილისიდან, დაბეჭდილი „მწყემსი“-ს ორგანოში ამა წლ. მე 3—4 №-ში ასე თავდებოდა: „ასე უბედურად სრულდებოდა დეკემბრის თვე თფილისელებისათვის. ბევრი ხალხი გავიდა თფილისიდან შემინებული და მწარე საგონებელში ჩაეარდნით.“ ეს წერილი აქამდისინ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ჩვენდა დამოუკიდებელ

*) ეს წერილი შეიქმნა მიზეზად განსვენებულის მიტროპოლიტის დასატყვევებლად და რუსეთში გადასასახლებლად. საწყალმა ვერ აიტანა უჯაო მოპყრობა მიხეილთა და სურამში გარდაიკვალა. აქედამ მკვდარი მიტრანეს აწანურში და იქ დასაფლავეს ეკლესიაში სლად დღესაც განისვენებს.

*) ის „მწყემსი“ № 3-4 1906 წ.



გარემოებათა გამო ვერ დაიბეჭდა. დღეს ვსარგებლობთ დროით და ვვარგებლობთ. ჩვენს ტანჯვა მუხუხარებას დასასრული არა ჰქონდა თფილისში. საოცარი სიციფე იყო და გზა შეკრული. რკინის გზის სადღურზე ყოველ დღეს მივდიოდით, მაგრამ მატარებელით მარტო სამხედრო კაცებს, სალდათებს და მუშებს გზავნიდენ და კერძო პირებს არ იღებდენ. იმერეთიდან ათასნაირი ხმა მოდიოდა. ზოგი ამბობდა ყვირილა დასწყისა, ზოგი ამბობდა ყვირილაში რუსის მართებლობა აღარ არსებობსო და ზოგი კიდევ რას მოიჭორებდენ ვინ მოსთვლის... ხუთს იანვარს როგორც ქენა ხანამდისინ გამოგვეყვი მატარებელს. გორში ცოტა გზა შეჭერდით და გამოგვიცხადეს, რომ მატარებელი მიხაილოვამდის მივა დაუბრკოლებლაო. წამოვედით მართლა და მიხაილოვში მოვედით ასე ორ საათზე. 4 იანვარს მიხაილოვში დამსჯელ რაზმებს და ყახახებს რამდენიმე დღუქნები გადაეწვით ღ კარგათ მოეთარაშებიათ, ბოლოს სურამსა და ვარშემო დათარეშობდენ. ერთ მემარხილეს ესთხოვე გადაყვანა სურამის ქედით ბეყანთენამდის, მაგრამ მითხრა: „მატარონ რას ბრძანებენ? როგორ შეიძლება იქით წასილად, გზაში ყახახები გავგვარცვალებ და ბოლოს დავგვობაკვენ. ყოველად შეუძლებელია ესლა იქით წასილა“. დავრჩი სადღურზე. რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურენი და სახლებ დამწვარნი რკინის გზის ბუფეტში დაბინავებულნიყვენ და დატევა იქ არ შეიძლებაო. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჯარი ყახახებისა და სალდათებისა. სალდათების ჯარს პოლკოვნიკი ჩიქოვანი მეთაურობდა. პირველი კლასის ბუფეტში მთლად აფიცრებით ვაივსო. აფიცრებში დიდი მითქმა მოთქმა იყო და ჩურჩული. ყური დაუგდევ და ი რა მოვისმინე: „რას ასბობთ, ხუმრობა არის! ათი ათასი შეიარაღებული კაცების გადათელვა? წარმოიდგინეთ იმთ მალლობი ადგელი უყავიათ და ჩვენ ყველას ამოგველტენ მალლობი გორებიდან. ყვირილაში ჯარზე გაიმარჯვეს, ხარაკოულში სალდათები ამოკლიტეს და ჩვენ ორმასამმა ბატალიონმა როგორ უნდა შეგებრძოლოთ მარტო. ისევ სჯობს რამდენიმე ბატალიონი დავებაროთ, დიად, საქირია ბევრი ჯარი იმერეთის აღება ესლა ძლიერ; ძვირად დაუჯდება რუსის მართებლობას, წარმოსთქვა მესამე აფიცრება. წარმოიდგინეთ, ჩაყრია მეოთხე აფიცრი, კაცის კი არა ხისაც უნდა გეში-

ნოდეს იმერეთში. ისეთი რალაცა იარაღები შეუხამთ ხეებისათვის, რომ თუ ახლოს გაუარე ტყევა გაგზვრეტს და მიგავარებს იქვე. აბა, დააკვირდით ერთი, წამოიწყო მეექვსე აფიცრება, ამ ხალხს თქვენ ყველას სახზე კითხულობ აშკარად, რომ ამ უჯრე გარდაუწვევრით, რომ მთლად ამოვლიტონ რუსები“...

ერთი აფიცრი რომელსაც კარგად ვიცნობდი მოვიდა ჩემთან და გამაცნო ჩიქოვანი. ამ აფიცრს მე კარგი ხანია ვიცნობდი როგორც პოლიციის ბოქოულად ნამსახურს, რომელსაც სხვა და სხვა «სამამაცო» საქმისათვის ყველა ღირსების ჩამორთმევით დაითხოვეს და ვვინებ გამასწორებელ რაზმში ვაიგზავნა ოლქის სსსამართლოსაგან. ბევრი ეცადა ეს კაცი, მაგრამ ვერას გახდა. ვანჩინება ძალაში შევიდა. ბოლოს ხელმწიფემ აპატივა ღ აფიცრის მუნღირშივე ხალხის ყოფაქცევის გამასწორებლად გამოგზავნა. ეს კაცი თუმცა ქართველი იყო, მაგრამ რუსებსზე მეტად მტრულად უყურებდა ჩვენ ხალხს.

ახლად გაცნობილი ჩიქოვანი მოვიდა და მითხრა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ცუდი რამე შემთხვევა გწყინებათ და კარგი ვაიმებათ. მე მაქვს მონღობილი რკინის გზაზე სიარული აღვადგინო და რაც უნდა დაბრკოლებდ შემხვდეს არ შეჭერდენ ვინც უნდა შემხვდეს გზაში და რამდენიც უნდა შემხვდენ გზაში ყველანი უნდა გაესწყვიტო. მე ვაგზავნე კაცი წიფისკენ და მითხრეს, რომ იქ ათი ათას კაცს შეუყრია ათვი ჩემ დასახვედრად. მე გთხოვთ თქვენ მიილოთ შრომა და ვაგონტკით წახვედეთ და შეგანოთ ეს თამოყრილი ხალხი, რომ ნუ შემხვდებიან წინ და წინააღმდეგობას ნუ გამოიწყვევენ, თორემ ძლიერ ცუდი შედეგ მოყვება მათ წინააღმდეგობას მთელი იმერეთისათვის. მე იძულებული ვიქნები ტყვის მფრქვევლით ამოვხოცო იგინი“.

—ძლიერ მიკვირს, უთხარი მე, ვინ დავარწმუნათ თქვენ, რომ ათი ათასი კაცი გხვდებოდესო წიფის მთებში დასახვედრად. იქ, მე დარწმუნებით ვიცი, რომ თქვენ საწინააღმდეგოდ არავინ არ დავგზავნება. მე ვიცი ნამდვილად, რომ თფილისიდან ყველას აქვს შეტყობილი, რომ ჯარს წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ჩიქოვანი დამშვიდდა. ბოლოს პრისტავად ნამყოფი აფიცრი, შესანიშნავი



ქიათურის გმირი, ბევრი ელაპარაკა ჩიქოვანს და გადაწყვიტეს, რომ წაეწიათ წინ ჯარი ვარვარინო-მდის. ხუთს იანვარს საღამოს ექვს სათზე ჯარი წაიდა და დაბინავდა ვარვარინოში. მთელი ღამე ჯარს ყარაულობდნენ, ეშინოდათ თავს არ დასხმო-დნენ იმერლების ათი ათასი ჯარი, დაბანაკებულ დასავლეთის მხრივ გვირაბისა. დილით ყაზახები გაგზავნეს გვირაბამდის, მიიარ მოიარეს, მაგრამ არაინ არ უნახავსთ. ქვიშხეთელი გლეხები პურ-ძარილით და ღვინით მიეგებნენ ჯარის უფროსს და სწოხოვეს შებრალება. მოწყალეობა აჯმოუჩინეს და არ აუხოხრებიათიგინი. დილით მოიწვიეს მამასახლი-სი, გააყოლეს სამი ოთხი ყაზახი, მათ გადიწერეს პირჯვარი, გამოეთხოვენ აზნაგებს და წამოვიდნენ გვირაბით.

გამოვიდნენ დასავლეთის მხრივ და ავიდნენ წიფის სოფელში, დაათვალიერეს სახლები, მაგრამ ერთი კაციც ვერ ნახეს—მთლად გახიზნულიყვნენ. დაბ-ტუნდნენ უკან და მოახსენეს ჯარების უფროსს, რომ მათ დაიარეს მთლად სოფელი და კატებისა და ძაღლების მეტი არაინ უნახავს, ხალხი გახიზნუ-ლია. ძლიერ იამათ აფიცრებს ეს ამბავი და ფერი მოეცა ყველას. წამოვიდნენ ფეხით ჯარი და აფიც-რები და გამოვიდნენ გვირაბში. მოვიდნენ მუშებიც გვირაბში ლიანდაგიდან გადადგებულ ორთქმავლის ამონაღებდა. ეს ორთქმავალი ერთს საათში ამოიღეს და მიათრიეს მიხაილოვში. გაჩნდა ჯამუში. მოახსენ-და ჯარების უფროსს, რომ ათი ათასი ჯარი ორგა-ნიზაციისა რომელიც წიფაში უკლდია რუსების ჯარს ბელაგორში დაბრუნდა და მეორე ათი ათას ჯარს შეუერთდა და იქ აპირებენ შებრძოლებასო. ჯა-რების უფროსს რომ შეეტყო ეს კიდელ შეშინებო-და და ტელეფონით ეთხოვა მიხაილოვის სტაციის უფროსისათვის, რომ წავსულიყავი მასთან და რა-გორიმე გზით შემეგონებია ეს ჯარი წინააღმდეგო-ბას არ გაეწია რუსების ჯარისათვის. მე საღვურში არ დამაყენეს და კერძო კაცს შეეცხინენ და ველარ წახავს. ტელეფონით გარდაეცათ, რომ მიხაილოვში წაღარ არისო, საღლაც წაიდა.

ეს რომ გაეგო ბოქაულად ნამყოფ აფიცერს ათას ნაირს ჭორები გამოეჩნება ჩემზე და დავრ-წუნებთა ჩიქოვანი, რომ მე მას ვატყუებდი, თო-რემ მთელი იმერეთი არის ამხედრებულიო რუსე-ბის წინააღმდეგო!..

ნათლის დებას მიხაილოვში დავრჩი და ამ ბრწყინ-ვალე დღეს უბედურობისა და ძარცვა-გლეჯის მეტი არა მინახავს-რა. მეორე დღე 7 იანვარიც ესეთი უბედური დღე იყო. 7 იანვარს სამიოდე ყაზახებს გადაეგლით წიფის გვირაბი ზემოთ ცხენით. ერთ ოჯახში ერთ საცოლავ გლეხს ქალიშვილი დაენიშნა და პურის ქამად ისხდნენ შინ და თავა-სებურად ნეტარებდნენ და ერთი-ერთმანეთისათვის ბედნიერ ცხოვრებას დმერთსა სთხოვენ. ყაზახებმა სამი კაცი და ორი ქალი სიცოცხლეს გამოასალმეს და წამოვიდნენ არხენად,

ვერ წარჰიოდგენს კაცი ჩვენს ტანჯვას და მწუხარებას რომელიც გადავიტანეთ სამი დღის განმავლობაში მიხაილოვში. დამსჯელი რაზმები წავიდნენ ყვირილისკენ და გამოტყეხილად ამბობდნენ ყვირილა უნდა გადიწვასო. ის დაბა უნდა გადი-წვას სადაც საცხოვრებელი მაქვს და მე კი მიხა-ილოვში ვარ და ადგილიდან ვერ ვიძვრი, რადგან გზაში ქვეითად რომ წამოხვიდნენ ვერ გადაღვრჩები ან ყაზლებს ან ყაზახებს და ან სალდათებს..



წმირილი ჩედაქონისადმი

იმეორ—ბიკალის რკინის გზის საღვურის ხილოკიდან.

ძამა რედაქტორო!

უმთრეოლესად გთხოვთ ადგილი უბოძოთ ამ ჩემს მოწერილ ბარათს თქვენს ჰატიგემულ ჟურნალ „მწეუ-სის“, ერთ ერთ ნომერში.


როდესაც ჩვენმა დიდათ ჰატიგემულმა დამსხუ-რებულ ჰელავოგამ ბ-ნ აკობ გოგებაშვილმა ადრე ლა-ზარაკი, რომ უნდა შეკრებილიყო ჩვენა საუერეო მკის-ნის თ. აკაიეს სსსრკედლიად რამოდენიმე წვდლია, რომელსაც სხვლად ნაციონალური სჩუქარი უნდა დარქ-მულა შეკ განვიზრავს ამ შორეულ ქვეყანაში რამოდე. ნიმე წვლიდის შეკერება ჰატივის რემის დასამტკიცებ-ლად. და კიდევც შეკასრულე ეს ჩემი განზრავა შარ-შან 1905 წ. ივლისში და შეკავროვე ცოტა ოდენი ესე იგი 81 მანეთი. ეს ფული და შემწირველთა სია შარშანვე ივლისში გაუგზავნე ჰატიგემულ ცნობის ფურცლის რედაქციას და. ვსთხოვე კავრეტა კუთხნილე-ბისამკბნ და იმათი ვკრებები გამოცესლებთა თუ ვინ

რამდენი შესწირა გავიდა სუთი, ექვსი, შვიდი, რვა თვე, მარამ ცაზეთში არასფერო გამოტანადებული არ იქნა. თუმცა ცაზეთს არც ერთ ნომერს წაუკითხავს არ უშეუბნებ; მივმართე წერილით და კიდევ ვსთხოვე, მაგრამ ზისსუნი არ გავგეტყოს. შემდეგ მივმართე „ივერიის რედაქციას და ისინი ნომრის ფურცლებს“ გზას დაადგა. მივმართე „მოგზაურის“ რედაქციას, მაგრამ არც იმან მოიძალა ჩემი გულისთვის. (თითქოს მოწყალებას ვსთხოვე) ესაა უკანასკნელად თქვენს რედაქციას ვსთხოვე, რომ გამაგებინოს რა იქნა ეს ფული? მე დარწმუნებული ვარ ზატოცემული „ნომრის ფურცლებს“ რედაქცია ამ ფულს კუთვნილებიანსებერ გადასცემდა, ვისიც რიგი იყო, მაგრამ მე ძლიერ მივეიან, რომ ივინი არ არის მიმხვთარი ამას, რომ უნდუნოთ თამას უოკულ საზოგადოებაში შესვლება. რედაქცია რათ არ ფიქრობს იმას, რომ თუ უკვლავ არა რამე სხვა სხელის მომწერთაგანი მაინც იფიქრებს ამას, რომ რადგანაც ცაზეთში არა სხინა ეს ფული იფიქრებენ, რომ მე ჩემი ჯიბის სასარგებლოდ შევკაროვე და არა სხვისთვის. დარწმუნებული ვარ ბრძანდებოდეს ზატოცემული რედაქცია რამე-სამე მინის ესლაც არ მოუცია კიდევ შემოწირილია ფული, რადგან მათ მაკურ მე გავცაზაფნე, და ისინი ასე ამბობენ: ჯერ გვიჩვენეთ რა უფრეთ შეკრებილი სხვისგან და, მერმე მოკართმეფეთო—*)

გარდენ გ. უიფიანი.

(*) ტყუილი შეწუხებულა ბ. ყიფიანი ამდენი წერით. თუ უნდოდა, ან დღეს სურს გაიგოს, თუ ვინ მიიღო გამოგზავნილი ფული 81 მანეთი, მოსთხოვოს იმ ფოსტის კანტორას, რომლითაც გამოგზავნა ეს ფულეები. თფილისის ფოსტის კანტორა დაუკავებელიე აცნობებს ფულის მიმღების სახელსა და გვარს. თუ ფული არავის მიუღია მაშინ უკანვე შეუძლია დაიბრუნოს ფულეები. მორჩა და გათავდა! თორემ რედაქციებს სად აქვს დრო და მოცალეება ცნობების შეკრებაზე თუ ვინ მიიღო გამოგზავნილი ფულეები და გარდასცეს იგი დანიშნულებიანსებერ თუ არა?..

რედაქცია.



არსი შრომისა

ამ ჩვენ შრომისა ვსწირავთ მოყვასს გულ ვაბედვითა და იმედითა, რომ იგი მასა, ვითა ძმურ ძმასა, ისმენს მშვიდობით და თანაგრძნობით.

კეთილ სურვილი, მართლის წყურვილი არის მიზანი, არის საგანი ამა შრომისა, ამგვარი სმისა.

ვინცა შეისმენს, ვინცა შეიძინს თვით-შეგნებასა და რწმუნებას, იგი აღადგენს, იგი წარადგენს თვის ბუნებას, თვის ცხოვრებასა წინაშე ღვთისა, შემოქმედისა, იმედელად და ღირსეულად.

ჩვენ წინაპართა, მამათ-მთავართა, მამათ-მამათა, მამათ-პაპათა სარწმუნოება და სათნოება ფრიად უყვარდათ, ფრიად მიაჩნდათ.

ჩვენი სამშობლო, მთლად საქართველო, წარსულსა ჟამსა, ყოველსა წამსა,

მით იყო გმირი, მით იყო ძვირი, რომა ესმოდა, ესტრეგობდა ქვეშაპირტება, კაცის ღირსება...

კეთილ რჩევასა და მოძღვრებასა იგი ისმენდა, მითი იღვწენდა; მისი ზნეობა, სულით მხნეობა, არც გაროზობდა, არც ბოროტობდა; ღმერთს უგალობდა, მითი ხარობდა...

სპარს-ოსმალეთი, მთლად სათათრეთი, ქართლმა იგერა, ეს ჩვეთა გვეჯერა, სარწმუნოებით და სათნოებით; მით შეიძინა მშვიდობის ბინა, რომ იყო შვილი, ღვთისა მორჩილი...

გვახსოვდეს ესა ივერის ვრსა წმიდა ცხოვრებით, სარწმუნოებით, ვიცვით მამული, ბევრწამებულნი...

ვიცვით მის ენა ვითა მარჯვენა, სიტყვით მდიდარი, ჰზრით მაგარი; ვიცვით ნაშთებში, ძველად-ძველებში, ღვთისა ტაძარნი, ცისა მგვარნი,

მადლით მოსილნი,
უხვად პოხილნი;
ვიცვთ ეს ჩვენა,
ვილოთ შესმენა,
როგორც სავნები,
როგორც ნიშნები
მის დიდებისა...
და ღირსებისა...

ისე მოვიქცეთ,
როგორც ივანი,
სიამართლის შვილნი,
კეთილ რწმუნობდენ,
კეთილ ზნეობდენ,
ღვთის სადიდებლად,
თვის საღონებლად.

ჩვენთა მამათა,
ძვირ წინაპართა,
ნურცა შევიარცხვენთ,
ნურცა შევიარცხვენთ:
მათ პატივი ვცვთ,

ესა ვაღიოა,
აქა ძალია
მამულის შვილთა,
ღირსეულ პირთა...

ო. ბაღუყვი.

შურნალ-გაზეთიანიდან

სასამართლო

გიმნაზიას დარექტორი და კანძუსის უფროსი.

6 ივნისს, როგორც უკვე აღნიშნეთ, ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ვაჟთა 1 გიმნაზიის დირექტორის ი. ე. გამყრელიძისა, რომელსაც კადეტთა კორპუსის დირექტორი გენერალი ტომკევე უჩივის შემდეგს: „შურნალ უხოს“ პირველ ნომერში, რომელზედაც რედაქტორის მაგიერ ზელს აწერს დირექტორი გამყრელიძე, ერთ წერილში, სხვათა შორის, სწერია: „განრისხებული მიფრალი ხულიგანები, სალდათები, ყაზახები, კადეტები იუნკრობის მეთაურობით უცვივებოდნენ უმწეო მტხოვრებთ, სძარცვადნენ, ჰკლადნენ უმანკო ყმაწვილებს, ქალებს. განა ეს დაცინვა არ არის საზოგადოების ჰაზრზე, რომელმაც სამარცხინო სახელით მკვლელის სახელით, მონათლა იუნკრები და კადეტები“. კორპუსის დირექტორის აზრით, ამ წერილში ის, რაც კადეტებს შეეხება, მართალი არ არის და მოთავსებულია იმ აზრით, რომ კორპუსის სახელი გაუტეხონ.

სასამართლოში ამ საქმის გამო დაბარებულნი იყვნენ მოწმეებად კორპუსის დირექტორის მხრივ გენ. პუშანოვი, კორპუსის როტის უფროსები ნიკინი, პიკული და აღმზრდელი ჩერეპანოვი, ხოლო გამყრელიძის მხრივ—გიმნაზიელები ხრამელაშვილი,

ამირაჯიბი. ხანატუროვი, კოზლოპიანი, „იერის“ რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი, სათავად-ახნაურო გიმნაზიის აღმზრდელი თარხნიშვილი, ლ. ყიფიანი და სხვანი. პირველად ილაპარაკეს სამხედრო უწყებების წარმომადგენლებმა, რომელთა გვარებიც ზევითა გვაქვს აღნიშნული. ყველა მათგანმა ის აზრი გამოთქვა, რომ კადეტები მონაწილეობას იღებდნენ, მხოლოდ „შესტავიში“ და არა ძარცვა-გლეჯაში. დირექტორის სიტყვებიდან დამტკიცდა, რომ 200 კადეტზე მეტი გამოსულა კორპუსიდან და უწყსრივად შეერთებია „პატრიოტიულ შესტავს“.

შემდეგ ამისა აღაპარაკეს ი. ე. გამყრელიძის მოწმენი; გიმნაზიელმა, აწ სტუდენტმა ხრამელაშვილმა, სთქვა: ჩვენ „მუხრანის“ ნომრებთან, კუთხეში ვიყავით გიმნაზიელები შეჯგუფებული, როდესაც თავს დაგვესხა მთელი ბრბო „ისტინი რუსკი ლიუდებისა“, რომელშიაც კადეტებიც ერივნენ. კარგა მახსოვს, რომ კადეტებმა დაგვიყვირეს „შაჰი დალოო“ და მეფე ნაციონალურ ზაირალებით ცემა-ტყემა დაგვიწყეს. ერთხანად ამ ბრბოს ტალღა უკუ იქცა, რადგან ვილაცამ დაიყვირა, ამთ ყუმბარები აქვთო; მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ არავითარი ყუმბარები არა გექონდა, ხელ-ახლა მოიტანეს იერაშიო. დირექტორ გამყრელიძის „გზა“-ში რედაქტორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხრამელაშვილმა განაცხადა, რომ დირექტორი არც წერილებს სწერდა და არც რედაქტორობდა ამ ორგანოსაო. თითქმის ასეთივე ჩვენება მისცეს დანარჩენმა მოწმეებმაც: ამირაჯიბმა, კერესელიძემ, კოზლოპიანმა და სხვამ. მოწმე ფ. გოგინაიშვილმა დაწვრილებით მოიხსენა 22 ოქტომბრის აწიოკება-აკლების საქმე, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა და უთხრა, მხოლოდ კადეტების მოქმედებაზე ილაპარაკეო.

მოწმეების ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ვეკილიმა გ. გვაზავამ. მან, სხვათა შორის აღნიშნა კადეტების მოქმედება ამ სამარცხინო საქმეში და სთქვა: „თვითონ კორპუსის დირექტორი გენ. ტამკევეი, რომელიც ბრალსა სდებს გამყრელიძეს, ამბობს და არა მიაღვს, როგორ გამოსულან კადეტები 200 სულზე მეტი და უწყსრივად შეერთებინ კომბლენბითა და რკინის კეტებით შეიარაღებულ „პატრიოტულ“ ბრბოს. მოწმეებმა განაცხადეს, რომ ეს



ბრბო მუხრანის სახლისკენ გამოექანა და დაიწყო აკლება-დაწოკება და ცემა-ტყევა ყველა იმისა, ვინც ხელთ იღებს და რაც გაზაზე ხელდობდათ არა ნაკლებ 50 მოკლულ გვამისა მიიტანეს მიხეილის საფადმყოფოში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაშაულობას—მკვლელობას და აკლება-ცარცვას ნამდვილად ადგილი ჰქონდა. დანაშაულობა ჩაიდინა „გამხეცებულ ხულიგანებისა, ყაზახებისა, იუქრებისა, ჯარის კაცებისა და კადეტების ბრბომ. გაზეთშიაც სწორედ ეს იყო აღნიშნული, თავზარდამცემ ტრაგედიას 22 ოქტომბრისას გიმნაზიელებისთვის უმნიშვნელოდ არ ჩაეგრა, შეტადრე იმ გიმნაზიელებისთვის, რომელთა სადგომიც ტყვიით დახვრიტეს, ხოლო კარიდარები მორწყეს ყმაწვილების სისხლითა და ტინით. გიმნაზიელებს გულზე ჯადოსავით რაღაც აწვით და გარინდებულნი დადიოდნენ ამ სცენების ხილვის შემდეგ. ეს საქმე აღძრა სულ სხვა ნიადაგზე, იგი შედეგია ორს სამეფოს ძველსა და ახლის ერთმანეთთან შეტაკებისა. რეაქციონერები ვერ შეპირებოდნენ თავისუფლებას და პატრიოტობის ქუჩიქვემ დაიწყეს მთელ რუსეთში საზოგადოების ნაძირალ ელემენტების შეგროვება და ორგანიზაციების შედგენა ძარცვა-გლეჯისა და ზოცვა ელექტისათვის. აი ვინ არიან ნამდვილნი დამნაშავენი, აი ვინ უნდა ისხდნენ ბრალდებულის სკამზე, მათ აგრეთვე არ შეეძლოთ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ გიმნაზიელებმა გაზეთის გამოცემა დაიწყეს; იმიტომ აღძრეს კიდევ საჩივარი, მაგრამ გამყრელიძის პიროვნება აქედან ისეთივე შეუღალხევილი და ჩირქმოუცხებელი გავა, როგორც იგი იყო დღემდის. იმის პიროვნების დაფასების უფლება ხულიგანურ პარტიის კომპეტენციაში არ შედის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლომ ბნ გამყრელიძეს გადაუწყვიტა შეიღის დღით ჰაუბტვახტზე დაპატიმრება. როგორც გადმოგვცეს, საქმე პალიატაში გადააქეთ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * კონსტანტინე მიტროსებს შორის მოძრაობა არა სცხრება. მიტინგები ხშირად იმართება, მატროსები ამ მიტინგებზე აცხადებენ, რომ რაც უნდა დიდი არეულობა მოხდეს, კერძო პირებს არაფერს არ დაუწავებთო.

ამ ჟამად გამოძიება კურსკის გარნიზონის აჯანყების საქმისა. დაპატიმრეს რამდენიმე ჯარის კაცი. პრეობრაჟენსკის პოლკში ამ ბოლო დროს ჯარის კაცთ წერილები მოსდით მშობლებისა და ნათესავებისაგან. არიგებენ, „ამორჩეულთა“ წინააღმდეგ ნუ წახვალთ, მაშინაც-კი, როცა მთავრობა გიბრძანებთო. „ჩვენ გამოგვზავნეთ ისინი, იყერებიან.—რომ მაწა და თავისუფლება მოიპოვონ. ამიტომ დაიცავით. ისინი თქვენსკენ არიან და არა თქვენ მოწინააღმდეგეებისკენ“.

დონის ყაზახთა შორისაც დიდი მითქმა-მოთქმაა. დონის ყაზახები ძლიერ გადატაკებულნი არიან თანამედროვე მოძრაობით, რადგან მ წყლიწადა, სულ სამსახურში ატარებენ დროს. მთავრობა ყაზახებისაგან ახალ-ახალ პოლკებს აგროვებს. ერთხანად მთავრობა ჰპირდებოდა ყაზახებს მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ პირობა დაპირებად დარჩა. გარდა ამისა, სამხედრო სამინისტრო უნდობლად ეპყრობა ყაზახებს და აფიცრები სხვა პოლკებში გადაჰყავს. ამით მაკვირად კი ყაზახებს უნიშნავს სხვა აფიცრებს, რომელნიც არა მალავენ, რომ ისინი თვალ-ყურის სადევნელად არიან დანიშნულნი ყველა ეს ძლიერ აღელვებს ყაზახებს. („შრომა“)

* * ახალ სესხის ქალაქების ფასი ძლიერ ეცემა. ამ ჟამად ფასმა მანეთზე 87 1/2 კაპეკამდის დაიწია. ქალაქების პატრონები ესლავე ზარალიბენ. აღბად ეს არის მიზეზი, რომ სესხის საქმე შეჩერდა. ამასთან ერთად რუსეთის მანეთის ფასიც ეცემა.

* * პოლიციის დეპარტამენტმა გუბერნატორებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც წინადადებას აძლევს, მიიღონ საქირო ზომები, რომ გლეხები და სოფლის საზოგადოებები არა გაზენიდნენ დეპეშებს არც სათათბიროს თავმჯდომარის, არც დეპუტატების სახელობაზე და არც „პრავეტვისტა“-ის რედაქციაში.

* * კავ. ნამესტნიკის მიერ სინოდის ობერ-პროკურორის სახელობაზე გაგზავნილ დეპეშის თანახმად, სინოდმა დაავალა ექსარხოის სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე). არქიმანდრიტს ეკლესიისა და მთავრობის საწინაღმდეგო მოქმედებას აბრალებენ. თანამდებობიდან გადაყენებულ არქიმანდრიტ ნიკოლოზს ჰგზავნიან ხარკოვის ეპარქიის მიძინესის მონასტერში უბრალო ბერად. („სრომა“)

* * კონ. დემოკრატიულ პარტიის ტფ. განყოფილებამ გუშინ დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს. განყოფილება დეპეშაში მხარს უჭერს სათათბიროს გადაწყვეტილებას სრულის ანისტიისა და სიკვდილით სასჯელის გაუქმების შესახებ და სათათბიროს ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის მდგომარეობაზე, რომელიც „უკანტროლო“ სამფლობელო გადაიქცა გენერალ-გუბერნატორების ხელშია. შემდეგ დეპეშაში ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობის ამბავია და მოხსენებილია, რომ ამ ავკაცობას მტკიცე ნიადაგი მისცა სამხედრო წესებმაო. გენ-გუბერნატორები დენიან ჟურნალ-გაზეთებს, კრებებს და სხვ. ორის თვის განმავლობაში ტფილისში 34 გაზეთი დაიხურა, ეხლა სტამბების დახურვასაც მიჰყვები ხელი და ამის გამო არც ერთი სტამბა აღარ თანხმდება პროკურსიულ გაზეთების ბეჭდვას. პარტია სთხოვს სათათბიროს, იღონოს რამ კავკასიაში სამხედრო წესების მოხსნისა და ფართო თვითმმართველობის შემოღების შესახებ.

* * სალდათების გასამართლება. ხუთშაბთს, 22 ივნისისათვის, კავკასიის სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფ. მინგრელთა პოლკის იმ 27 სალდათისა, რომელთაც პოლკში „უწესისების მოხდენა“ ჰპარალებათ. ერთი ამ ბრალდებულ სალდათთაგანი 15 ივნისს გაიქცა ტფ. სამხედრო ლაზარეთიდან. ლაზარეთის დარაჯებად ყოფილა ელისავეტპოლის პოლკის ორი სალდათი, რადესაც როტის უფროსი მისულა დარაჯ სალდათების დასაჭერად, მთელი როტა დახვედრია ყაზარმაში, უფროსი ზრდილობიანად მიუღიათ, მაგრამ სალდათების მიცემაზე უარი უთქვამთ. ეს ამბავი უცნობებიათ პოლკის უფროსისთვის, რომელიც ავრეთვე მისულა პოლკის უფროსთ-

ხოვნა ხსენებული ორი სალდათი. როტა ჯერ უარზე დამდგარა, მაგრამ შემდეგ როცა აფიცრებს უთქვამთ, რომ დამნაშავეებს მხოლოდ რამდენიმე დღით დასჯიანო, მიუციათ სალდათები, მხოლოდ დაუდგენიათ, თუ ჩვენ ამხანაგებს სასტიკად მოექცენენ, თავი გამოვიდეთო.

* * ბათუმში, როგორც სააგენტოს დეპეშა ვაიმოგვეცემს. ვილაქას პრ-ვოკაციის აზრით გაუეცელებია პროკლამაციები, რომელთაც ჯარს იწვევს, სომხების და ებრაელების ამოსაყვლად. ამ ამბის გამო „ჩ. ვ.“-ს სიტყვით, ბათუმის ამრწეველნი შატილოვი, გოგოლაძე და აღნაშვილი გუბერნატორსა და კამენდანთან ყოფილან. ორივეს აღუთქვამს, სასტიკ ზომებს მივიღებთ პროკლამაციის გამომცემთა წინააღმდეგო.

* * ქართლ-კახეთის სამღვდელთა კრება. კრებამ განიხილა საეკლესიო ნივთების საწყობის საქმე და დაადგინა: მიენდოს სანათლის ქარხნის გამგეობას სარევიზოა კომისიისათან ერთად გამოიკვილოს რამდენად სასარგებლოა სამღვდლოებისთვის ამ საწყობის შენახვა. კრებამ მოისმინა სანათლის ქარხნის მუშების მოთხოვნილება და დაადგინა: 8 საათის მუშაობა მოუხერხებელია, ჯამაგირები მოემატოს იმას, ვინც 50—70 იღებს—10%, ვინც 40—45—50%. დასვენების ნება დართო. წამლობაც როგორც მუშას, ისე ოჯახის ორ წევრს მუხთი უნდა ჰქონდეთ. ოჯახის უფროსის, ე. ა. ქარხნის მუშის სიკვდილის შემდეგ, იმის ოჯახს ას მანეთამდის უნდა დაენიშნოს შემწეობა იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი წელიწადი უმსახურნია. გაფიცვის დროს მიეცეთ ფული იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვა საერთოა. კრებამ მერე მოისმინა მედვიანეთა თხოვნა და მესამელი ნაწილი დაუნიშნა. შემდეგ კრებამ მსჯელობა იქონია სამრევლო სკოლების პროგრამის შესახებ და მოიწონა სამაზრო მეთვალყურეთა კრების მიერ შემუშავებული პროექტი ამ სკოლების როგორ განიხიციისა. ამასთან ერთად კრებამ დაადგინა, გადაყენებულ იქმნეს ეხლავე ის პირნი, რომელთაც არ ესმით ადგილობრივი ენა, როგორც მაგალითად საეპარქიო მეთვალყურე ბ-ნი ოლოვევი და მაზრის მეთვალყურენი მღვდლები სლობლიანიკოვი და მოსისტოვი. კრებამვე ცალკე დადგენილებით პროტესტი გამოაცხადა წინააღმდეგ იმისა, რომ რუსეთის საეკლესიო სო-



ბიროს წინასწარ კომისიებში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასწყვეტაში მონაწილეობას იღებენ ისეთი პირნი, რომელნიც ქართველ ხალხის და სამღვდლოების ნდობით არ არიან აღჭურვილნი და პირაქით მტრობენ ყოველსავე ქართულ საქმეს, როგორც, მაგალითად, ეპ. დიმიტრი (აბაშიძე), ექვთიმე (ელიავე), ნიკანდრი, სტეფანე და ცნობილი ვოსტორგოვი. კრებამვე დაადგინა: „მხარე აძლევს რა წარსული წლის დადგენილებას: ეტოკეფალიის შესახებ, სამღვდლოება ეხლაც ამის თხოულობს და მასთანვე მოითხოვს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილ იქნას აქვე, ადგილობრივ ქართველ ხალხისა და სამღვდლოების მიერ და არა სინოდის მიერ“. კრებამვე დაადგინა დაარსდეს ეხლავე თვითოეულ საბლადოქონო ოლქში სამო საბჭოები ხელახლად არჩეულ ბლადოქონების თაემჯდომარეობით. კრებამ ახალ ექსარხოსის მიღების და დახვედრის შესახებ გადასწყვიტა: ეცნობოს დევეშით სათათბიროს თაემჯდომარეს მურომცევს და სინოდის ობერ-პროკურორს, რომ საქართველოს ეკლესიას არ უნდა ექსარხოსი. ამიტომ ახლად დანიშნულ ექსარხოსის სამღვდლოება არ მიიღებს და, თუ არ დაიშალა ექსარხოსმა ჩამოსვლა, არაიენ შეჭვდეს და არც საქმე რამ დაიჭიროს ამისათვის. („შრომა“)

* * 20 ივნისის გამოვიდა ახალი ქართული გაზეთი „ახალი ცხოვერება“.

* * როგორც გაზეთებს გაუგიათ, ხმები რკინის გზების მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ პროკაიკოულ წყაროებიდან მომდინარეობს თურმე.

* * 19 ივნისის თვითისიდან ყარსისკენ უნდა გაგზავნათ ერთი პოლკის სალდათები, რიცხვით 40 კაცამდე. სალდათები მეოთხე კლასის ვაგონში (სადაც საქონელია ხოლმე) მოათავსეს; სალდათებმა იწყინეს ეს, მეოთხე კლასიდან თავიანთი ნივთები გადმოყარეს და აფიცრეს განუცხადეს, არ წამოვალთ, თუ სახალხო ვაგონებში არ ჩავსხამთო. ამის გამო ერთი სალდათი დააპატიმრეს. დანარჩენნი მეორე მატარებლით გაგზავნეს.

* * 19 ივნისი. სათათბიროს წარედგინა კომისიის მიერ შემუშავებული კანონ პროექტი სიკვდილით დასჯის მოსაზრების შესახებ. სამხედრო სამინისტროსაგან არსებულ კანონის დამცველად გამოვიდა მთავარი პროკურორი პავლეოვი. მემარცხენე-

ებმა მაშინვე ასტეხეს ყვირილი; მემარცხენეთა კადეტებმაც მხარი დაუჭირეს; ყველა მხრიდან ისმის: „ავაზაკო“, „მკვლელო“, „გადადებით სამსახურიდან“ და სხვა. თავჯდომარემ შესწყვიტა სხდომა. დეპუტატებს შორის დიდი მღვდლოებაა.

სხდომის განახლების შემდეგ სათათბირომ განაგრძო განხილვა კანონ-პროექტისა და მცირე კამათის შემდეგ ერთმანდა ალიარა, რომ სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოსა.

* * 20 ივნისის ყვირილში ეუმბარა ესროლეს ბოქალის თაემჯდომარეს ნემსაქეს და მსუბუქად დასჭრეს ფეხში. დარაჯებმა სროლა ასტეხეს; ქაქიაშვილმა მოჰკლა თერძი აბაშიძე და დასჭრეს ვაქარი მხარაძე. სალდათები გულგრილად შეჭვდნენ ამბავს და სროლაში მონაწილეობა არ მიიღეს. სტრაქნიოკების უმფროსს უნდა უმაღლოდენ, რომ დეპუტატი არ აიკლეს.

* * ებისკოპოსი გორისა ევთიმე პეტერბურგში წავიდა რადაცა საქმეებისა გამო. ეხლა იწერებიათ, რომ ავადმყოფობისა გამო ორი თვით რუსეთის ერთ მონასტერში გაიგზავნა ორი თვითო. ებისკოპოსი კირიონი აფხაზეთისკენ წამოვიდაო.

* * სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს მღვდლად ნამყოფს და თავის ნებით გაკრეკილს სიმონ წერეთელს სათათბიროში განუცხადებია, რომ საქართველოს ავტონომია არა სურსო. ნეტავი ვინ დააბარა ამის თქმა წერეთელს. ვოსტორგოვს ხომ არ ჩაუგონებია ეს აზრი. რასაც ვფიქრობდით სოციალ-დემოკრატებისაგან არჩეულ სახელმწიფო სათათბიროს წევრებზე სწორედ ნამდვილად აღსრულდა... ჩვენ შევამჩნიეთ, რომ რამდენიმე მღვდლებს განუზრახავთ ანაფორის გახდა, რადგან მრევლი დრამას აღარ აძლევენ. ამ მღვდლებს იმედი აქვთ რომ სოციალ-დემოკრატების დახმარებით სახელმწიფო სათათბიროს წევრებად აირჩევენ თავის დროზე... რასაკვირველია არ წააგებენ!..

* * საგლეხო საკრებულოს წევრი ნ. პ. პრინცი, რომელიც რევრსიების შემოდებისას გენერალ ალიხანოვის წინადადებით ქუთაისის გუბერნიის მართავდა ათის დღის განმავლობაში, პეტერბურგში გადაცვლილა. გადაცვალბულ პრინცი მაგივრად საკრებულოს წევრად ნიშნავენ თურმე სოხუმის ოლქის მომრიგებელ შუამავალს კლოპოვს.



* * ამას წინად დაქრილ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბაკალოს მეოხებითა და კონფიდენციალურ წარდგენის თანახმად, სამსახურიდან დაუთხოვნიათ ორი მომრიგებელი მოსამართლე, რომელთაგან ერთი ქართველია, სახელდობრ სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე მაქავარიანი. როგორც სჩანს, ბ-ნი ბაკალო არ დაქაჟაფილებულა მოხელეების დათხოვნით და მსხვილებისათვის მიუყვია ხელი.

* * შორაბნის მაზრის გამომძიებელი ბაშმაკოვი დანიშნა ქუთაისის პროკურორის ამხანაგად.

* * 27 ივნისს, სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ ილია ქაქავაძეს შემდეგი დებეზა გაუგზავნა ქართველმა სამღვდლოებამ: „ქართველი სამღვდლოება ღრმად დარწმუნებული, რომ მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელს ეკლესიას შეუძლიან განკურნოს საუკუნოებით დარჩენილი წყლულები, რომელიც მას ექსარხოსების გამგეობის დროს დაანდა, მტკიცედ და შეურყევლად ადგას, როგორც სალი კლდე, იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართველმა სამღვდლოებამ გამოსქვა თავის პეტრიკეებში. ამისათვის ქართველი სამღვდლოება გთხოვთ, გადასცეთ ახლად დანიშნულ ექსარხოსს ნიკონს, რომ იგი საქართველოსაკენ არ გამოემგზავროს ექსარხოსად. ამისთან ერთად გთხოვთ, ამ ჩვენის დეპეშის შინაარსს აცნობოთ დაუყოვნებლივ მიტროპოლიტს ანტონის“.

* * ევარდა. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ალიხანოვმა ქუთაისში მეფობის დროს ყვირილაში გაძარცულ ხაზინის შესავსებად 201,000 მანეთი დაადო ხარკად შორაბნის მაზრის მცხოვრებთ, რომელთაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდათ, რომ პოლიციასა და დარაჯებმაში მაგივრობა ვერ გასწიეს და ვერ შეიპყრეს ხაზინის გამძარცველნი. ისიც კარგად მოგგონებებთ, თუ რა შეუბრალებლობა და სისასტიკე გამოიჩინა გულტყმა მობრძანებელმა ხარკის აკრეფის დროს: რამდენს ოჯახს გამოაცალა ხელიდან მარჩენელი ხარი, ხზოიანი ძროხა, ცხენი და სხ. მაგრამ ამდენს ხანს ყველაფერს ხმის ამოუღებლად ითმენდა თავზარ დაკემული ხალხი; მხოლოდ ესლა, როდესაც ალიხანოვის გადაყვანის შემდეგ ხალხი კრებათი გონს მოვიდა, იგი დაეკითხა თავის თავს, რა კანონის ძალით, რა უფლებით გადაგვახდევინეს 201,000 მინეთი ყვირილის ხაზინის შესავსებად?

ჩვენ რა მოვალე ვიყავით ხაზინისათვის გვეყარაულენა და დარაჯების მაგივრობა გავგეწოთ, როდესაც ამ დარაჯების შესანახად მთავრობა ტყავს გეძარბოსო?! როგორც ესლა გავიგე, შორაბნის მაზრის საზოგადოებებს განუზრახავს, მოსთხოვოს მთავრობას უკანონოდ წაღებული ფულის უკანვე დაბრუნება. ამბობენ, გუბერნიის ესლანდელი მმართველი იაზიკოვიც იმ აზრისაა, რომ ალიხანოვს უკანონობა ჩაუღდენია, შორაბნის მაზრის მცხოვრებლებისათვის რომ გადაუხდევინებია გაძარცულ ხაზინის შესავსები ფულით. კარგი იქნება, რომ ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელი მხარს დაუჭერდნენ შორაბნის მაზრის მცხოვრებთა საჩივარს და სახელმწიფო სათათბიროში აღძრავდნენ საკითხს ალიხანოვის უკანონო მოქმედების შესახებ. („შრომა“)

როგორც გავს შენიშვნის დამწერს არ სცოდნია ყვირილის მცხოვრებთან შეტანილი ქაღალდი დამსჯელი რაზმის ოტრიანის უმფროსის გავრიილოვის მოთხოვნის გამო. აი რა ეწერა ამ ქაღალდში სხვათა შორის: „ჩვენ ყვირილის მცხოვრებნი თანახმა ვართ გადავიხადოთ ხვედრი ფული 201,000 ათასი მანეთისა, წაღებული ყვირილის ხაზინიდან ხუთ დღეში, ვინაიდგან სახლკარის და თურამ დაუწევი დავიკრჩა მთლად მთ გადაწვას გვექადიან. მაგრამ უფლებას ვიტოვებთ ამაზე ვსთხოვთ ხელმწიფეს, რომ დავგებრუნოს ეს ფულები ისევე, რაგად საზოგადოებას არავითარი ბრალი არ ედება ამ ფულების წაღებაში. ხაზინადარი და მოსამსახურენი ათ საათზე მივიდნენ ხაზინაში და ფულები დაუთვალეს და ხელწერილით ჩააბარეს ისეთ პირებს, რომელსაც კარგად იცნობდნენ და კიდევაც იციან. რასპისკა ჩამოართვეს და შინ ბინაზე წავიდნენ. არც ერთ ხაზინაში მყოფ დარაჯეს, რომელთაც ფიცით დავალბებული ჰქონდათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ემბროლოთ ხაზინის ინტერესისათვის, ხმა არ გაუციათ.—ეს გარემოება პოლიციამაც კი იცოდა, საქართველო დარაჯებისათვის იხდის ორ მილიონ მანეთზე მეტს და ხალხი თავისუფალი უნდა იყოს ყარეულებისაგან. თუ მთავრობას აღარ შეეძლო თავის დაცვა ხალხისთვის უნდა დეველებია და მაშინ ისქ იქნებოდა პასუხის მგებელი და სხვა... საზოგადოებას სრული უფლება აქვს ეს ფულები მოითხოვოს და უნდა მიეცესთ კიდევ...“



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საიწმუნოებასა და კეთილ- ჩინებაზე.

სარწმუნოება, სიყვარული და სასოება.

სარწმუნოება, სიყვარული და სასოება არიან სამნი უმთავრესნი კეთისმოქმედებანი, რომლებითაც უნდა იყვნენ შემკული ბუნება ქრისტიანე—კაცისა. მას აქვს გონება. მას შეუძლიან იფიქროს. საჯოს. სჯა მისი უნდა იყვეს სწორე, ქეშმარიტი და არა მრუდე და ცრუ. სწორე, ქეშმარიტი სჯა კაცის გონებისა ასეთია: კაცი არ არის თვით-მყოფი არსება. თვით-მყოფი არ არის ვგრეთვე ქვეყანაცა. ამისთვის უნდა იყვეს, და არის, უზენაესი არსება. ეს არსება არის სული—ღმერთი, რომელსაც შეეძლო შექმნა კაცისა და ქვეყნისაცა და შეკქმნა კიდევცა. კაცმა უნდა შეიგროს, რომ ბუნება მისი მშენებელია, მას აქვს ნიჭი უკვდავებისა, მაგრამ იგი ცოდვილია; ცოდვა არის მიზეზი კაცის ხორციელისა და სულიერის სიკვდილისა, მაშინ როდესაც სიკვდილი არ უნდა იყვეს ხვედრი კაცის ბუნებისა, ესოდენ მშენებელი ქმნილისა. ღმერთი უნდა იყვეს მზრუნველი საზოგადოდ ქვეყნისა და კერძოდ კაცისა. ღვთის მზრუნველობამ უნდა იხსნას კაცი ცოდვისა და სიკვდილისაგან. მან იხსნა კიდევცა, როგორც ღმერთმა—მაცხოვარმა და განანათლებს ყოველს მორწმუნე ქრისტიანეს იმ წმიდა საიდუმლოებითა, რომელნიც მან დააწესა თვის ეკლესიაში და რომელნიცა ამხადებენ მორწმუნე კაცსა საუკუნო ნეტარებისთვის. ვისი გონებაც არ არის მცონარი და შეუძლიან სწორე სჯა, და ვისი გულიც ბიწიერებისგან გაქვავებული და ნება გაბოროტებული არ არის, იგი უმეკველად იქნება მორწმუნე. აქედგან ცხადია, რომ ქეშმარიტი ქრისტიანე არის ის ვისაც შეგნებით რწმამს ღმერთი შემოქმედი, მზრუნველი და მაცხოვარ—განანათ-

ლებელი და სცხოვრებს სარწმუნოების თანხმად. ასეთი სარწმუნოება ჰხადავს სიყვარულსაცა. ღმერთი, როგორც შემოქმედი, მზრუნველი და მაცხოვარ—განანათლებელი, არის პირველი არსება სიყვარულისა. კაცს უნდა უყვარდეს ეს ღმერთი თვის სრულის არსებითა: გონებით, გულით და ნებითა, გონებამ უნდა იცნოს და მიილოს ზეცური სწავლა ქრისტი-მაცხოვრისა როგორც უმაღლესი ქეშმარიტება. გული უნდა ტკებოდეს ამ ქეშმარიტებითა და ხარობდეს, რომ არის ცოდვითა მოტყვევება ქრისტეს მადლითა; ნება უნდა სცხოვრებდის ამ ქეშმარიტებითა. ყოველი ცრუ სწავლა, ცრუ რწმუნება, სადაც გამოიხატება სისუსტე და შეცდომილება კაცის დაცემული გონებისა, სადაც სწინან მხოლოდ ნების ბიწიერებანი, მორწმუნე ქრისტიანემ უნდა უარ ჰყოს. ამასთან ქრისტიანეს უნდა უყვარდეს მოყვასი, როგორც თვით თვისი. ღმერთს უყვარს ქრისტიანე როდესაც იგი სცხოვრებს უბიწოდ, სულგრძელობს მასზედ, როდესაც იგი სცოდნის. კაციც ასე უნდა ექცეოდეს თავის მოყვასს. ბედნიერება მოყვასისა უნდა ახარებდეს ქრისტიანესა, ხოლო უბედურება მისი ამწუხარებდეს. ქრისტიანენი უნდა იყვნენ შეერთებული სარწმუნოებითა და სიყვარულითა, ერთად უნდა აღაშენებდნენ თავიანთ ცხოვნებას; იგინი ერთმანეთს უნდა შევლოდნენ ყოველ კეთის საქმეში, ერთმანეთს უნდა აშორებდნენ ბოროტსა. ქრისტიანეთა ასეთი მიმართულობა ამსგავსებს მით ანგელოზთა, იქნებიან იგინი ოჯახში თუ საზოგადოებაში, კაცი—ქრისტიანე თვის მაღალ წოდებითა უნდა იყვეს კიდევც ქვეყნიერი ანგელოზი. თუმცა ცოტანი, მაგრამ არიან კაცნი—ანგელოზნი. არიან მორწმუნენი და მომთენინი იობნი, რომელთაც უყვართ ღმერთი როგორც მწყალობელი, ისე მსაჯელი, რომელნიცა იმედს არ იწყებენ უბედურებაში, ლოცულობენ მაწუხებელითათვის. ამ ანგელოზ—ადამიანთ გულისთვის ღმერთი სულგრძელობს და იზრალებს ცოდვილ ქვეყანასა... ასე ამაღლებს კაცსა ქრისტიანული სიყვარული აქვე, ქვეყანაზე; იგი აღიღებს მას ცთაშინაცა. ამ სიყვარულისთვის უნდა გახსნილი იყვეს, გული ყოველი ქრისტიანისი- ამ სიყვარულზედ უნდა ფიქრობდეს გონება მისი, ამაში, მხოლოდ ამაში, მდგომარობებს ღირსება და დანიშნა ადამიანის თავისუფლობისა

და ქრისტიანული წოდების... როდესაც უმეტესი რიცხვი ადამიანთა შეიგნებს ამ ქვეშაირტებას, მხოლოდ მაშინ დაარსდება ქვეყანაზე ის მშვიდობა ცხოვრებისა, რომელიც დიდად სასურველია, მაგრამ იგი მივიგრების შორს ჩვენისავე ბიჭიერების გამო... კაცთა შორის მშვიდობითი ცხოვრების საფუძველი არის კაცის უმაღლესი თვითშეგნებაში: მხოლოდ ეს თვითშეგნება აყენებს კაცსა ქრისტიანულ ცხოვრების გზაზე; მხოლოდ ეს ცხოვრება უთითებს კაცსა; უმტკიცებს მას, რომ ბოროტს მოაქვს ბოროტი, აღრეულობა და მწუხარება, რომელნიცა შხამავენ სიოცხლესა, ხოლო კეთილს შემოაქვს ამ სიოცხლემი კეთილი, მშვიდობა და სიხარული. ამ ქვეშაირტებაზე არის დამოკიდებული მშვიდობა კერძო პირთა, სახლობათა, საზოგადოებათა და ერთა. ამისთვის ეს ქვეშაირტება ყოველმა კერძო პირმა მტკიცედ უნდა შეითვისოს.

კაცს შეუძლიან იმედი იქონიოს მოსავალზე მაშინ, როცა იგი დასთავებს რასმეს. ასეა ხორციელ ცხოვრებაში, ასეა სულიერ ცხოვრებაშიაც. სარწმუნოება და სიყვარული არიან თვისნი სულიერი ცხოვრებისა. ვისაც სწამს და უყვარს, იგი ნახავს სარწმუნოებისა და სიყვარულის ნაყოფსა— ნახავს იმას, ვინც რწამს და უყვარს, ნახავს თვითღმერთსა ცხოველსა, ნეტარების წყაროსა და ზიარყოფი შეიქმნება ამ ნეტარებისა, —ნახავს სამოთხესა. სადაც ნეტარებაში არიან ანგელოზთა გუნდი და ცხონებულ ადამიანთა სიმრავლე. ასეთი უნდა იყოს დასასრული ყოველი ქრისტიანის ცხოვრებისა ამ ქვეყანაზე. ქრისტე—მაცხოვარი ნატრის. ჰპირდება ნეტარებასა, არა იმას, ვინც მხოლოდ სახელით არის ქრისტიანე, არამედ იმათ, ვინც არიან—

გლახენი სულთა, ვინც შეიგნებს თვის ბუნების სიღრხავესა და ღვთის შეწევნაში საპიროებას; ვინც თვალტრემლით და ხელ აპურობით თხოვს ღვთისგან შემწეობასა როგორც ხორციელ, ისე სულიერ ცხოვრებაში.

—მგლავარენი, ცოდვათათვის, ვინც სწუხს, რომ სცოდავს, შეინანებს, გულტკივნეულად სთხოვს ღმერთსა ცოდვათა მიტერებასა და ებრძვის ბოროტსა. რომ არა სცოდოს.

—მშვიდნა, ვინც არის კეთილ-წყნარი, სასიამოვნო და საყვარელი ხასიათისა, არა გოროზი ანუ ამბყი, რომელიც აღრილად და შეუბრალებლად

აწყენს და აენებს მოყვასსა სიტყვით ანუ საქმით.

—მშეარნი და მწეურახნი, არა ხორციელად, არამედ სულიერად: ვისაც შიან და სწყურიან სიმაართოდ ქრისტესი, მისი სწავლა, როგორც ზეციერი ქვეშაირტება.

—მწაჯანნი, ვინც არამთუ არ აზარალებს თავის მოყვასსა რომელიმე ბოროტ მოქმედებითა, პირიით ნუგეშსა სცემს მას გაჭირებაში სიტყვით ანუ საქმით.

—წმინდანა გუდათა, ვისაც ეშინიან არამთუ ცოდვისა, არამედ ცუდისა, ცოდვითი ჰაზრისა (კა და აქრობს მას თვის გულში, რომ არ შესცოდოს მისი არსებაში მოყვანითა.

—მშეადობის მუფეუქნი, ვინც არამთუ თვითონ არა მტრობს, მტერთაც შეარბებს, ვინც ერიდება საზოგადოდ ჩხუბსა და შფოთსა, რომელთაცა ბოლოს მოაქვს არა იშვიათად მხოლოდ უბედურება სხვადასხვაგვარი...

—დეუქუნი სიმართლისათვის, ვინც სიმართლეს ესარჩლება, ხოლო როგორც მოკლებული ძალასა და მფარველობასა, იჩაგრება ძლიერთა პირთაგან უდანაშაულოდ და უსამართლოდ.

—დეუქუნი ქრისტეს გუდასთვის, ვინც მზად არის აღვიაროს ყოველთვის და ყოველგან ქვეშაირტება ქრისტესი და ამისთვის მიიღებს ურწმუნოთაგან უბატობასა, ზრახვასა, ტანჯვასა და სიკვდილსაცა.

აი ის გზანი ცხონებისა, საუკუნო ნეტარების მიღებისა, რომელნიც უწევნა ქრისტე—მაცხოვარმა ყოველსა ქრისტიანესა. ეს არის ის ტკბილი უღელი და მსუბუქი ტვირთი ქრისტესი, რომელთათვისაც იგი ჰპირდება ქრისტიანეთა საუკუნო განსვენებასა. ეს არის სარკე ქრისტიანული ზნეობისა: ყოვლის ქრისტიანის წინ უნდა იდგეს ეს სარკე, იგი ხშირად უნდა იხედებოდეს აქ, რომ იცოდეს, ახლოს არის იგი თუ შორს იმ ცხონებისამან, რომელზედაც იგი სასოვბდეს. —ამაოა ქრისტიანის სასოება, თუ სარწმუნოება მისი არ არის მტკიცე, ხოლო სიყვარული მისი არ არის საქმიან.

ი. ბაღუევი.



ჩვენ მივიღეთ შედეგი ჩაქვლიუბიანი ბაქეთში დასაბამად:

„1906 წელს მისი 10 დღეს. ჩვენ ქვემო-
რე ამის ხელის მომწერი სიმონის საბლალოჩი-
ნო მზრის ეკლესიების სამღვდლოებამ მოვისმი-
ნეთ ამა წლის „Церковный вѣдомости“ის 13 და 14
ნომერში დაბეჭდილის წერილის შინაარსი, რომლის
ავტორიც ქართველი მღვდელი ირწმუნება, რომ
ვითომც საქართველოს სამღვდლოებებს არ სურდეს
თავის ეკლესიის ავტოკეფალობა, ეს საქთიზ ვა-
მოგონილი იყოს რომდენიმე კერძო პირთაგან.
ამისათვის დავადგინეთ: იქნეს ცნობილი აღნიშნუ-
ლი წერილი ცილის წამებათ; საქართველოს სამღვ-
დლოების ქემარტი სურვილი არის და იქნება
აწიც მოიპოვოს საქართველოს ეკლესიისათვის
ავტოკეფალობა, თანახმა ამა საგანზედ შედგენილი
და წარდგენილი უმაღლეს მთავრობასთან პეტეცი-
ისა და მას შინა ხელს ვაწერო.

ამა ოქმზედ ოცდა თვრამეტა მღვდლის და შედე-
გითის საკუთარს ხელის მოწერას ვამოწებ. ბლადო-
ჩინა დეკანოზა ლუკა ჭანაშვილი.

II

1906 წელს ივნისის 2 დღეს, ჩვენ ქვემო-
რე ამის ხელის მომწერი, ბარის საბლალოჩინო ეკლეს-
იების კრებულნი, იმერეთის ეპარქიისა, ამით ვაც-
ხადებთ, რომ პეტეციით ვთხოვლობდით და დღეს-
საც მტეციეთ და გულმზურვალეთ ვთხოვლობით
ჩვენი სამშობლო—საქართველოს—ეკლესიის ავ-
ტოკეფალიის აღდგენას. ხოლო იმ გვარი შინაარ-
სის წერილები საქართველოს ეკლესიის ავტოკე-
ფალიის შესახებ, როგორც არის, მაგალითად, ამა
წლის „Церковный вѣдомости“-ს მეცამეტე და მე-
თოთხმეტე ნომერში მოთავსებული, ჩვენ მიგვჩანია
და ვსაუბლი საზიზღარ პასკვილად, რომლის შემ-
თხზველს და დამწერს უცხადებთ ზიზღს.

ხელს აწერენ ყველა მღვდლები და მელაიეთენი.
ამა ოქმის შედგენაზედ დაგესწარა ბლადოჩინა
მღვდელი მიხეილ სხარტაძე.

III

1906 წელს ივნისის 22 დღეს ჩვენ
ქვემო-რე ამის ხელის მომწერი ქუთაისის
მზრისა, ოკრობის საბლალოჩინო ოლქის სამღვ-
დლო და საეკლესიო მსახურნი ამით ვაცხადებთ,
რომ ჩვენ პეტეციით ვთხოვლობდით და დღესაც
მტეციეთ მოვითხოვთ ჩვენი სამშობლო ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენას. იმ გვარი შინაარსის
წერილები, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
შესახებ, როგორც არის, მაგალითად ამა წლის
„Церковный вѣдомости“-ს მეცამეტე და მეთოთხ-
მეტე ნომერში მოთავსებული, ჩვენ მიგვჩანია საზი-
ზღარ პასკვილებად. ჩვენის მხრით ზიზღს უცხადებთ
წერილის ავტორს, როგორც მართლ-მაიღებელი
ეკლესიის მოლაღატეს და მტერს.

ამ რეზოლუციასზედ ორმოცდა ორი მღვდლის და
შედეგითის საკუთარს ხელის მოწერას ვამოწებ
ბლადოჩინა, დეკანოზა დავით სარბაძეძე.

**რედაქციისა და მოუკადებულ
მაწელებთან-გამო ამ ნომრის დაბეჭდვას დაგვიანდა.**

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განმარტება: რა პირობებში
უნდება ივერიის ეკლესიას თვის ავტოკეფალურ უფლებათა
აღდგენის მოთხოვა, დეკ. 5, თალაქვანის.—ახრი საქართვე-
ლოს ეკლესიის შესახებ რუსეთის განსაკუთრებული კრებისა
(особаго присутствія), შლ. კ. ანთაძის.—რასაც მიზმონან
მეტს უზამ, სოფლის ხუცესის.—სასიტარო მასალა.—წერი-
ლი მეორე მიხაილოვიდან.—წერილი რედაქციისადმი, ვარდენ
გ. ყიფიანის.—ახრი შრომისა (ლექსი), ი. ბალუევის.—ჟურ-
ნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მივნიერება ქრისტიანობის სარწმუ-
ნოებას და ქითილ-წმინდობაზე:** სარწმუნოება სიყვარული
და სსოება, ი. ბალუევის.

სასულიერო პირთა რეზოლიუციები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე,

სტამბა ჟურნალის „მეფის“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.